საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 აპრილი, 2014 წელი.

№67 (7448)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბარაკის არაკის „UNHAPPY END“ და ლარიბაშვილის პენალტი

3

ეეჰ, თინა, თინა! მეც ვუსამძიმრებ საქართველოს, რომ ბიძინა ივანიშვილის წყალობით ქართველი ხალხისთვის ნაცებზე არანაკლებად საძულველ რესპუბლიკელებს ჯერ-ჯერობით „სტოსი მიგყავთ“ ხელისუფლებაში, მაგრამ არა უშავს, უარესებიც გვინახავს, მოგვინელებია და თქვენც მოგინელებთ, როცა იქნება ქართველი ერი!!!

მიშვეზო, გამოდით, უნდა 4 დაგთვალოთ!

ვინ მფარველობს „ალ მოსტაფას“?

საერთაშორისო უნივერსიტეტი თუ საქართველოს მიზანმიმართულად დასაქუცმაცებლად ჩადებული ნაღმი?! 5

დღის ამფრაზურიდან

— ობამას ის კი არ უთქვამს...

— სახელისუფლებო ვერსიით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ის კი არ უთქვამს, რაც თქვა, არამედ თქვა ის, რაც არ უთქვამს, ანუ საქართველო სულ მალე მიიღებს სამოქალაქო გეგმას (მაპს) და ნანატრი ევროპის კარსაც შეაღებს (თუ რამე ვერ გაიგეთ, მე ნუ დამაბრალებთ).

მიხეილ დარახველიძე

როგორ მივიდნენ ინვენტარიზაციიდან სასამართლომდე? 6

დაბალზამებული ბელადის ცხოვრება

9

მეზვრე ზვარს უბრუნდება!

7

ტუვალუმ გადაიფიქრა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარება 8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

რა გვიჩვენა გამოკითხვამ

ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, საქართველოში რუსეთის აგრესია გრძელდება.

კითხვაზე, „რუსეთის აგრესია საქართველოში დასრულდა თუ კვლავ გრძელდება“, გამოკითხულთა 71%-მა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესია გრძელდება. წინა კვლევის თანახმად, აღნიშნულ კითხვას ანალოგიური პასუხი რესპონდენტთა 49%-მა გასცა.

გამოკითხულთა 16% მიიჩნევს, რომ აგრესია დასრულდა, მაგრამ შესაძლოა, განახლდეს, 7%-ის აზრით, დასრულდა და აღარ განახლდება. რესპონდენტთა 6%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

IRI-მ გამოკითხვა 2014 წლის 19 თებერვლიდან 13 მარტამდე ჩაატარა. გამოკითხვაში 18 წელს გადაცილებულმა 3 992 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

* * *

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ პრემიერის პოსტის დატოვებას და სამოქალაქო სექტორში გადასვლას გამოკითხულთა 19% სრულად, 17% კი ნაწილობრივ უჭერს მხარს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ნაწილობრივ ეწინააღმდეგება გამოკითხულთა 16%, ძლიერ ეწინააღმდეგება — 36%. 12%-მა კი არ იცის, ან არ აქვს პასუხი აღნიშნულ საკითხზე.

* * *

კითხვაზე, „იცნობთ თუ არა პირს, ვინც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ დანაშაულის მსხვერპლი გახდა“, უარყოფითი პასუხი 84%-მა გასცა. კვლევის მიხედვით, ასეთ ადამიანს გამოკითხულთა მხოლოდ 7% იცნობს, ხოლო 9%-ს კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

* * *

კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ საქართველოში პროდუქტებზე ფასები გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა, გამოკითხულთა 69% პასუხობს, რომ ბოსტნეულზე ფასი გაიზარდა, 28% მიიჩნევს, რომ შემცირდა, 1% კი ფიქრობს, რომ იგივე დარჩა;

62%-ის აზრით, არჩევნების შემდეგ ხორცზე ფასი გაიზარდა, 34% მიიჩნევს, რომ შემცირდა, 2% კი ფიქრობს, რომ იგივე დარჩა;

გამოკითხულთა 62% ფიქრობს, რომ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე ფასი 62%-ით გაიზარდა, 34% ფიქრობს, რომ შემცირდა.

60% მიიჩნევს, რომ ხილზე ფასები გაიზარდა, 36%-ის აზრით — შემცირდა, 1% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა.

რაც შეეხება მედიკამენტებს, გამოკითხულთა 52%-ის აზრით, ფასები გაიზარდა, 34%-ის აზრით, შემცირდა, 9% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა;

საწვავის ფასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 47% ფიქრობს, რომ ფასი გაიზარდა, 34% ფიქრობს, რომ შემცირდა, 7% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა;

გამოკითხულთა 36%-ის აზრით, პურის და პურპროდუქტების ფასი გაიზარდა, 60% ფიქრობს, რომ შემცირდა, 7% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა.

გამოკითხულთა 6%-ის აზრით, ბუნებრივ აირზე ფასი გაიზარდა, 48%-ის აზრით, შემცირდა, ხოლო 25% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა.

* * *

გამოკითხულთა 94% ყველაზე სანდო ინსტიტუციად ეკლესიას მიიჩნევს. ამავე კვლევის მიხედვით, ეკლესიას სანდოდ არ მიიჩნევს 1%, 5%-ს კი პასუხი არ აქვს.

გამოკითხულთა 93% სანდო ინსტიტუციად ჯარს მიიჩნევს, 2% არ მიიჩნევს სანდოდ, 5%-ს კი პასუხი არ აქვს.

ნდობის რეიტინგში მესამე პოზიციას, 84 %-ით ქართული მედია იკავებს, ქართულ მედიას არასანდო ინსტიტუციად 9% ასახელებს, ხოლო 7%-ს აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

პოლიციას სანდოდ გამოკითხულთა 82% მიიჩნევს, 10% არ მიიჩნევს, 8%-ს კი პასუხი არ აქვს.

საქართველოს მთავრობას სანდო ინსტიტუციად 69 % ასახელებს, 23%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 8%-ს კი პასუხი არ აქვს.

საქართველოს პარლამენტს სანდო ინსტიტუციად ასახელებს 68%, 25%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 7%-ს კი პასუხი არ აქვს.

კვლევის მიხედვით პრემიერ-მინისტრის ოფისს სანდოდ გამოკითხულთა 67% ასახელებს, 16%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 17%-ს კი პასუხი არ აქვს.

პრეზიდენტის ოფისს სანდოდ გამოკითხულთა 64% ასახელებს, 23%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 13%-ს კი პასუხი არ აქვს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სანდოდ გამოკითხულთა 50% ასახელებს, 19%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 31%-ს კი პასუხი არ აქვს.

საქართველოს პროკურატურას სანდო ინსტიტუციად გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, 25% არ მიიჩნევს, 25%-ს კი პასუხი არ აქვს.

ეროვნულ ბანკს სანდო ინსტიტუციად გამოკითხულთა 48% მიიჩნევს, 35% არ მიიჩნევს, 19%-ს კი პასუხი არ აქვს.

ადგილობრივ თვითმმართველობას სანდოდ გამოკითხულთა 47% ასახელებს, 35%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 18%-ს კი პასუხი არ აქვს.

ომბუდსმენის ოფისს სანდოდ გამოკითხულთა 46% ასახელებს, 20%-ს აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს, ხოლო 34%-ს კი პასუხი არ აქვს.

სანდოობის რეიტინგში ბოლო ადგილს გუბერნატორების ინსტიტუტი იკავებს.

IRI-მ გამოკითხვა 2014 წლის 19 თებერვლიდან 13 მარტამდე ჩაატარა. გამოკითხვაში 18 წელს გადაცილებულმა 3 992 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. ცდომილება 1,5%-ს შეადგენს.

* * *

ალიანსმა საქართველოს MAP-ი უნდა მიანიჭოს. შესაბამის კითხვაზე პასუხი არ აქვს გამოკითხულთა 31%-ს , ხოლო 8% უახლოეს სამიტზე ქვეყნისთვის MAP-ის მინიჭების წინააღმდეგია.

ამასთან, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა — 58% სრულად უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას, თუმცა, ეს მაჩვენებელი წინა კვლევის შედეგებთან შედარებით შემცირებულია, რადგან გასული წლის მაისის კვლევის მაჩვენებელი 61% იყო.

კითხვაზე — რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის თბილისის მერი იყოს თბილისელი, გამოკითხულთა უმრავლესობა — 35% ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია; ამას არ აქვს მნიშვნელობა 24%-ისთვის, ნაწილობრივად მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 22%-სთვის და ძალიან მნიშვნელოვანი არ არის რესპონდენტთა 18%-სთვის.

◎ პირქუში დღევანდელობა

ესკიზი ნაცემი ნაცის პორტრეტისთვის

ბოცო უცემიათო, უთენია დამირეკეს იმ დღეს.

შევწუხდი ძლიერ.

მერე თვითონ ვიხილე ტელეკადრი.

მართლა უცემიათ.

მაგრად, გამეტებით.

მწიფე ქლიავად გადმობრუნებული თვალი.

ასფალტის ძალადობრივი მოხვნით გადათქლეშილი ცხვირ-პირი.

ტანსაცმლით დაფარულ სხეულზე სხვა იარები არ ჩანს, თუმცა, ავად მენიშნა მიკროავტობუსიდან ჩამოსვლისას მისი შენელებული მოძრაობა და სახის უნებური ღმეჭა.

უთუოდ წიხლიც წააჭარბეს ტერორისტებმა.

ნუგზარ წიკლაური ნაცმოძრაობის სახეა.

მისი გალახვა მთელი ნაცმოძრაობის გალახვაა ფაქტობრივად.

რა მიზანს ისახავდნენ ნიღბიანი მოძალადენი ამ კაცისმკვლელური აქტით?

ნაცმოძრაობის დაქცევას?

ბოცოს ულაგამო და მართალი ენის დადუმებას?

არ გამოუვიდათ! არც გამოუვათ!

ის იდგა ნატანჯი, მაგრამ შეურყეველი.

ის იდგა ტკივილით დაღრეჯილი, მაგრამ ამაყი და მთელი თავისი პიტალო არსებით აჩვენებდა მსოფლიოს, რომ ვერავითარი მუშტი და ელექტროშოკი ვერ ამოთხრის მას ნაციონალური წიაღიდან.

რა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ედგნენ მხარში სამძიმარზე მისული კორპორატიული თანამებრძოლნი!

რა შთაგონებით წყევლიდა იდეურ მტრებს დავით ბაქრაძე — ქაქანა.

რა კუდზე შემდგარი კობრასავით ირწეოდა გიგი უგულავა-ყოფილი.

რა ავად აელვებდა თვალებს ირმა ნადირაშვილი — კაპუტი.

არ ჩანდა, მაგრამ კადრსმიღმა ისმოდა გივი თარგამაძე-უტყვის მჭიდროდ შეკრულ ყბათა ღრჭიალი.

ნაცმოძრაობამ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა: რვა მგელკაცამ სალკლდე ნუგზარ წიკლაური მანქანაში ვერ შეათრია.

ვერც ხვალ ვერ შეათრევენ აკო მინაშვილს, გიორგი ვაშაძეს, გიგი უგულავას თუ გიგა ბოკერიას, დიდი-დიდი ცხვირპირი გაუერთიანონ ბოცოსავით.

იმიტომ რომ ისინი მართლები არიან!

სანდრო ალექსიძე

გარდაიცვალა ნოდარ გრიგალაშვილი

55 წლის ასაკში ყოფილი პარლამენტარი, ფილოლოგი ნოდარ გრიგალაშვილი გარდაიცვალა. გრიგალაშვილის გარდაცვალების მიზეზი სიმსივნე გახდა.

ნოდარ გრიგალაშვილი გაზეთ „საქართველოს“ და „ახალი საქართველოს“ მთავარი რედაქტორი იყო. ავტორია ლექსების კრებულის „ზრუნვის საგანი“ და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების „სამწუხარო პარალელები“. 1994 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია მიიღო. ნოდარ გრიგალაშვილი იყო ორი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი.

◎ SIC!

საქართველოს საგარეო ვალმა 13.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 13.6 მლრდ აშშ დოლარი (23.7 მლრდ ლარი) შეადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აღნიშნული ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 84.6 პროცენტია; აქედან, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 5.4 მლრდ აშშ დოლარი (9.3 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 33.2 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.2 მლრდ აშშ დოლარი (7.3, მლრდ ლარი; მშპ-ს 26.0 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალი — 338.2 მლნ აშშ დოლარი (587.2 მლნ ლარი; მშპ-ს 2.1 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ვალი — 833.5 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.2 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.6 მლრდ აშშ დოლარი (4.6 მლრდ ლარი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა — 3.4 მლრდ აშშ დოლარი (5.9 მლრდ ლარი) და კომპანიათაშორისო ვალმა 3.1 მლრდ აშშ დოლარი (5.4 მლრდ ლარი). მთლიანი საგარეო ვალის 94.3 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.



2013 წლის მეოთხე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 319.6 მლნ აშშ დოლარით (538.7 მლნ ლარით) გაიზარდა, აქედან ვალი გაიზარდა ოპერაციული და სხვა ცვლილებების გამო. ზრდამ შესაბამისად 334.0 მლნ აშშ დოლარი (563.0 მლნ ლარი) და 136.9 ათასი აშშ დოლარი (230.7 ათასი ლარი) შეადგინა. ამავე კვარტალში ფასისა და საკურსო ცვლილებების გამო მთლიანი საგარეო ვალი შესაბამისად 11.8 მლნ აშშ დოლარით (19.9 მლნ ლარით) და 2.8 მლნ აშშ დოლარით (4.7 მლნ. ლარით) შემცირდა.

სამთავრობო სექტორის უცხოური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში 97.9 მლნ აშშ დოლარით (165.1 მლნ ლარით) გაიზარდა. აქედან ოპერაციული და საკურსო ცვლილებების შედეგად ვალი შესაბამისად 85.3 მლნ აშშ დოლარით (143.7 მლნ ლარით) და 13.3 მლნ აშშ დოლარით (22.4 მლნ. ლარით) გაიზარდა. ხოლო ფასის ცვლილებების შედეგად ვალი 625.0 ათასი აშშ დოლარით (1.1 მლნ ლარით) შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 35.7 მლნ აშშ დოლარით (60.2 მლნ ლარით) შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების შედეგად ეროვნული ბანკის ვალდებულებები 37.0 მლნ აშშ დოლარით (62.4 მლნ ლარით) შემცირდა, ხოლო საკურსო ცვლილებების შედეგად 1.3 მლნ აშშ დოლარით (2.2 მლნ ლარით) გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში საბანკო სექტორის საგარეო ვალდებულებები 237.6 მლნ აშშ დოლარით (400.6 მლნ ლარით) გაიზარდა, რაც მთლიანად გამოწვეული იყო ოპერაციული ცვლილებების გამო, რომელმაც 240.6 მლნ აშშ დოლარი (405.6 მლნ ლარი) შეადგინა. ფასისა და საკურსო ცვლილებების გამო საბანკო სექტორის ვალდებულებები შემცირდა, კლებამ შესაბამისად 2.7 მლნ აშშ დოლარი (4.6 მლნ. ლარი) და 278.7 ათასი აშშ დოლარი (469.8 ათასი ლარი) შეადგინა.

სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებები 6.2 მლნ აშშ დოლარით (10.4 მლნ ლარით) შემცირდა. აქედან 23.2 მლნ აშშ დოლარით (39.1 მლნ ლარით) შემცირდა არასაფინანსო კორპორაციების საგარეო ვალდებულებები, ხოლო არასაბანკო საფინანსო კორპორაციების საგარეო ვალდებულებების ზრდამ 17.0 მლნ აშშ დოლარი (28.7 მლნ ლარი) შეადგინა. სხვა სექტორების საგარეო ვალი თანაბრად, 8.4 და 8.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა ფასის და საკურსო ცვლილებების გამო (14.2 და 14.2 მლნ ლარი), ხოლო გაიზარდა ოპერაციული ცვლილებების შედეგად - 10.2 მლნ აშშ დოლარით (17.2 მლნ ლარით) და სხვა ცვლილების შედეგად 450.3 ათასი აშშ დოლარით (758.9 ათასი ლარით).

საანგარიშო პერიოდში, უცხოური კომპანიათაშორისი სესხები 25.9 მლნ აშშ დოლარით (43.7 მლნ ლარით) გაიზარდა. აქედან ოპერაციული ცვლილებების შედეგად ზრდამ 34.9 მლნ აშშ დოლარი (58.9 მლნ ლარი) შეადგინა, ხოლო კლებამ საკურსო და სხვა ცვლილებების შედეგად, შესაბამისად, 8.7 მლნ აშშ დოლარი და 313.4 ათასი ლარი (14.6 მლნ ლარი და 528.2 ათასი ლარი).

საანგარიშო პერიოდში უცხოური ვალუტით დენომინირებული საგარეო ვალდებულებების მოცულობა 322.5 მლნ აშშ დოლარით (543.6 მლნ ლარით) გაიზარდა და 12.9 მლრდ აშშ დოლარი (22.3 მლრდ ლარი) შეადგინა. ხოლო ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვალის მოცულობა 2.9 მლნ აშშ დოლარით (4.9 მლნ ლარით) შემცირდა და 781.6 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი) შეადგინა.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.7 მლრდ აშშ დოლარი (15.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 53.9 პროცენტია; აქედან, წმინდა სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 2.5 მლრდ აშშ დოლარი (4.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 15.5 პროცენტი), ხოლო კერძო სექტორის წმინდა საგარეო ვალმა — 6.2 მლრდ აშშ დოლარი (10.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 38.4 პროცენტი).

ბარაკის არაკის „UNHAPPY END“ და ღარიბაშვილის პენალტი

გასულ კვირაში ბოლოს და ბოლოს უკრაინის მოვლენებმა იქნებ დროებით, მაგრამ მაინც, მთავარი ნიუსობა საქართველოში და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს დაუთმო...

როგორც დიდი შოთა ამბობდა, „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“ – გნებავთ ზღაპარი საქართველო-ნატოს პლატონური სიყვარულისა, რასაც ზვიად გამსახურდიას გამოკლებით, ყველა მომდევნო ხელისუფლებები გვიყვებოდა ბოლო 20 წლის მანძილზე.

ვდიახ, „გასრულდა“, მაგრამ არა „happy end“-ით, ანუ ბედნიერი დასასრულით როგორც მთავრდება ხოლმე ჰოლივუდის მელოდრამები და „დრომოჭმული“ ქართული ხალხური ზღაპრები ცნობილი „ჭირი იქა, ლხინი აქა“-თი“, არამედ „unhappy end“-ით, ანუ, უბედური ფინალით – **აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, უკრაინა და საქართველო არ მიდიან ნატოსკენ და საერთოდაც, ნატოს შემდგომი გაფართოვება არ იგეგმებაო!**

აი ასე, როგორც იტყვიან, წერტილი და მძიმე. ერთბაშად მიაშარდა ბარაკმა ნატოს არაკს, რამაც შოკში ჩააგდო ქართველი საზოგადოების ის მცირე ნაწილი, რომელსაც დღემდე გულწრფელად სჯეროდა „ბარაკების არაკებისა“ (ანუ, ზოგადად ყველა ამერიკელი პრეზიდენტისა) და ნაცებ-ქოცების კოჰაბიტაციური ხელისუფლებაც. ოღონდ, მოტყუებული საზოგადოებისგან განსხვავებით, ნაცებ-ქოცების შოკის მიზეზი არა ობამას უეცარი „აღიარებითი ჩვენება“ (რადგან იმთავითვე კარგად უწყოდნენ ბოლო ათწლეულების ბლეფის შესახებ), არამედ მათი პატრონი ამერიკისგან არ მოელოდნენ ამას.

მით უმეტეს რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების ფონზე, ობამას მოულოდნელი „გულწრფელობა“ ნაცებ-ქოცებისთვის ზურგში სატევრის ჩაცემას ჰგავს.

სულ ტყუილები ყოფილა ჯერ „მაპი“ და შემდეგ მაპზე უკეთესი „ნატოს ასპირანტობა“, უელსის ნატოს სამიტის იმედიც, სადაც, თუ სამეცნიერო ტერმინებს მივყვებით, ასპირანტობას ალბათ „ნატოს დოქტორობა“ უნდა მოჰყოლოდა და ახლა დოქტორობით გააგრძელებდნენ საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დაბოლებას...

ერთადერთი ადეკვატური კომენტარი პრემიერმა ღარიბაშვილმა გააკეთა – **დროა, ილუზიებში ცხოვრებას თავი ვანებოთ და ხალხს სიმართლე ვუთხრათო.**

დანარჩენმა ნაცებ-ქოცებმა კი, ასევე მოტყუებული საზოგადოებისგან განსხვავებით, მალევე იწყეს შოკიდან გამოსვლა და მათი სამიზნე სწორედ ღარიბაშვილი აღმოჩნდა, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მეოცნებეთა შორის ერთ-ერთ მცირე ნათელ წერტილად, რაღაც ეროვნულ გამონათებად აღიქმება!

გიგა ბოკერიამ პირდაპირ დაარტყა – **ჩემთვის, ობამას განცხადებაზე მეტად შემაშფოთებელი ღარიბაშვილის კომენტარი იყო, რადგან აშკარად ეტყობოდა სიხარული მომხდარის გამოო...**

რაც შეეხებათ დანარჩენ, პოტომაკის ნაპირებზე სხვადასხვა დროს ლიბერასტული ნალებით დაჭედილ ქოცებს, მათ, მაია ფანჯიკიძით დაწყებული და ალექსი პეტრიაშვილი-გიორგი მარგველაშვილით გაგრძელებულ-დამთავრებული, ყველამ ერთად და ცალკ-ცალკე, „გაუნათლებელ-ბრიყვი“ საზოგადოებისთვის, ობამას სკანდალური განცხადების „ნამდვილი შინაარსის“ გაშიფრვა დაიწყეს – „მაგან (ეს) რომ სთქვა, (ის) იგულისხმა, ნატოს კარი ღიაა და აუცილებლად შევალთო“, დაახლოებით ამ სტილში, რაც, როგორც მინიმუმ ღარიბაშვილის კომენტარისგან გამიჯვნას და დასავლეთისთვის გზავნილს ნიშნავს – ჩვენც პრემიერივით ქიზიყელი „გრუზინი“ ვირები კი არა, თქვენი ერთგული მონები ვართო. ისე, მეტი რა გზა აქვთ როო?

თუმცა, ჩვენ რომ მართლა ღირსეული საზოგადოება ვიყოთ, მაგ გზასაც მოვუჭრიდით, თუ ობამას განცხადებისთანავე თბილისში, ნატოს ოფისთან მივიჭრებოდით და მოლოტოვის კოქტეილებს თუ არა, ლაყე კვერცხებს მაინც დავუშენდით; შემდეგ იმასაც ვიკითხავდით, რა საჭიროა ალექსი პეტრიაშვილის სამინისტრო და საერთოდაც, რისთვის დატასაობენ ევროპა-ამერიკაში ნატოს სხვადასხვა ღონისძიებებზე, რეალურად კი „პაესტკებში“ და თანაც ბიუჯეტის, ანუ, ჩვენი ფულით ეს იდიოტები?

ყველაზე შორს მაინც პარლამენტის პირველი ლედი, თინიკო ხიდაშელი წავიდა – მეო, ვუსამძიმრებ იმათ, ვისაც ობამას განცხადების შემდეგ გაუხარდა, არიქა, საქართველოში ნატო და დასავლეთი დამთავრდა,დასავლეთი ახლა იწყება და ივნისში საქართველო ოფიციალურად გახდება ევროპაო – **ეეჰ, თინა, თინა! მეც ვუსამძიმრებ საქართველოს, რომ ბიძინა ივანიშვილის წყალობით ქართველი ხალხისთვის ნაცებზე არანაკლებად საძულველ რესპუბლიკელებს ჯერჯერობით „სტოსი მიგყავთ“ ხელისუფლებაში, მაგრამ არა უშავს, უარესებიც გვინახავს, მოგვინელებია და თქვენც მოგინელებთ როცა იქნება ქართველი ერი!!!**

ნატოს გენმდივნით დაწყებული, ათასი ჯურის დასავლელი ლიბერასტი ცდილობს ბარაკის არაკის „გაშალაშინებას“, მაგრამ აშშ-ის ანალიტიკური საბჭოს ექსპერტმა, დეიმონ პილსონმა იმდენი ქნა, რომ სავასიკო ოდიშვილოდ გაიხადა თავი – **„ქართველებმა აქცენტი იმაზე უნდა გააკეთონ, რა უნდათ მათ. თუ ნატოში შესვლა სწადიათ, უნდა გააგრძელონ ეს პროცესი ძლიერი შთაგონებით და ძალისხმევით“...** არა, ნამდვილად დაგვიცინის ეს შობელძაღლი!

ისეთი აბსურდიც გავიგონე, ბარაკ ობამას ეს განცხადება რუსეთის მიმართ გზავნილი იყო – ხომ ხედავ ნატოს აღარ ვაფართოვებ და ამით საქართველო რუსეთის აგრესიას გადაარჩინაო.

არადა, სერიოზული კომენტატორები ერთობ გაუბედავად, მაგრამ მცირე იმედით მაინც უშვებდნენ ვარიანტს, რომ უელსის სამიტზე ყოველგვარი მაპის გარეშე მყისიერად მიიღებდნენ საქართველოს და მოლდოვას ნატოში და რუსეთს ფაქტის წინაშე დააყენებდნენ, მაგრამ ასეთ ნაბიჯს ერთი ადგილის ქონა სჭირდება, რაც, პუტინისგან განსხვავებით, ობამას არ აქვს!

* * *

ღარიბაშვილის მოულოდნელი განცხადება – ოჯახის, როგორც მხოლოდ ქალის და კაცის ერთობის აღიარება და ამ დეფინიციის კონსტიტუციაში ასახვის წინადადება, ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვას ნიშნავს საქართველოში და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იგულისხმება ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდის, გეიპარადების აკრძალვაც. სწორედ ამ სიბინძურის პერმანენტულმა მოლოდინმა ბოლო 2-3 წელიწადია, ყველა ნორმალურ ქართველსაც და არაქართველსაც ლამის შეგვაძულა მშვენიერი თბილისური მაისიც და ცისარტყელას ფერებიც!..

რა იყო ეს, პრემიერის გულწრფელი სურვილი თუ წინა საარჩევნო პიარი, ამას დრო გამოაჩენს. ახლა კი იმის თქმა, რომ პრემიერის ექსპრომტმა არანაკლები შოკი გამოიწვია ქართველი ლიბერასტების ბანაკში, ვიდრე ობამას „აღიარებამ“, თამამად და გადაუჭარბებლად შეიძლება. რისი დასტურიც ასო-იდენტობის მიერ მეორე დღესვე გამართული საპროტესტო აქცია იყო კანცელარიასთან. სადაც, საბედნიეროდ კონტრ, ანუ, ერთსქესიანი ქორწინებების საწინააღმდეგო აქციაც გაიმართა!

საკვირველი სხვა რამ გახლავთ – რატომ არსად ჩანდა იქ და ზოგადად არსად ჩანს ჯერჯერობით ჩვენი სამღვდელოება? რას ელოდებიან 17 მაისს? რა, სხვა დღეებში არ უნდა გამოხატონ პროტესტი იდენტობის გველის წიწილების მიმართ და მხოლოდ 17 მაისს უნდა ირბინონ „ტაბურეტებით“? იქნებ მათი დუმილი საპატრიარქოში შტეფან ფულეს ამასწინანდელი თავხედური ვიზიტის ბრალიც არის? რაც, ჩემის აზრით, მისი უწმინდესობის შეურაცხყოფაც იყო, რისგანაც ასევე ვერ დაიცვა ჩვენი პატრიარქი სამღვდელოებამ...

ერთი რამ ცხადია – ირაკლი ღარიბაშვილს მთელი საზოგადოების, ერის და ბერის გვერდში დგომა სჭირდება, რათა პრემიერის ინიციატივა არ დარჩეს მხოლოდ კეთილ, მაგრამ განუხორციელებელ სურვილად!

ამ საშური იდეის წინააღმდეგ აშკარად ვერც ნაცები და ვერც ქოცების ლიბერალური ნაწილი ვერ გაბედავენ გამოსვლას. თუმცა, ისეთ კომენტარებში, როგორებიცაა – რა დროს ეგ არის, როცა სხვა, ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემებია საქართველოში და ა.შ. აშკარად იგრძნობა კომენტატორთა გაღიზიანება, რაც ყველაზე მეტად ცოლ-ქმარ ხიდაშელ-უსუფაშვილებს ეტყობათ – პარლამენტის თავმჯდომარემ, დიახ, კარგია თუ კონსტიტუციაში ჩაიწერება. იმაზე ლაპარაკი და სპეკულაცია მაინც მორჩება, რომ ევროპა, დასავლეთი გვაძალებს ერთსქესიან ქორწინებებსო, დაიჩივლა...

არა, ჩემო იმანო! კონსტიტუციაში ჩაიწეროს კი არა, „ნაკოლკაც“ რომ გაიკეთოს ყველა რესპუბლიკელმა, მაინც გეტყვით, რომ დიახაც ევროკავშირი ავალდებულებს ყველა ქვეყანას ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას და ლგბტ-პედერასტების გაჯეჯილებას, ის ევროკავშირი, რომელთანაც ასოცირების ხელშეკრულების ახლო მომავალში ხელმოწერასაც გვისამძიმრებს კნეინა თინათინი...

ეგეც არ იყოს და ხარი ხართან დაადგია, ნათქვამია. ანუ, პედერასტობა გადამდებია და ეგე, თვით უკონსერვატულეს ბრიტანეთში, ლორდთა და თემთა პალატებმა სულ ახლახანს ერთხმად დაუშვეს ერთსქესიანი ქორწინებები!

ყოველივედან გამომდინარე კი, წინამდებარე წერილის ბოლოს ვიმეორებ, ირაკლი ღარიბაშვილს გვერდში უნდა დავუდგეთ ერი და ბერი, რადგან, „სიტყვა იოლიო, საქმე ძნელიო“, ნათქვამია და ვინძლო ერთად მივაღწიოთ საწადელს!?

ის კი, თუ რამდენად გულწრფელია ირაკლი ღარიბაშვილი, აბანოში, ანუ, მომავალ 17 მაისს გამოჩნდება და ვნახავთ, სად იდგება პრემიერი, ქართველ ხალხთან თუ ირაკლი ვაჭარაძის „იდენტობასთან“, გინდა ევროპელ საპატიო პედერასტებთან, რომელთა ჩამოყვანასაც აპირებს „იდენტობა“ მომავალ 17 მაისს!..

დავით მხეიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ქართველი მეზღვაურები დახმარებას ითხოვენ

თურქეთის ქალაქ ისკანდერუნში მყოფი ქართველი მეზღვაურები საქართველოს ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. როგორც ერთ-ერთმა მეზღვაურმა მერაბ ჯიბლაძემ განაცხადა, მათ ოთხი თვის ხელფასი აქვთ ასაღები. გემზე სულ ოთხი ქართველი მეზღვაური იმყოფება. „ჩვენი ქვეყანა ვერ გვასაქმებს და ჩვენით ვპოულობთ ინტერნეტში კონტრაქტებს, სამუშაოს. ამაში მაინც დაგვეხმარონ, მოგვაქციონ ყურადღება და აგვაღებინონ ეს ხელფასი. ბოლოს და ბოლოს გვიცნონ ისე, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც თავის მოქალაქეების უფლებებს იცავს. მეზღვაურთა პროფკავშირში რუსებს, უკრაინელებს, თუ სხვა ქვეყნის მეზღვაურებს ეხმარებიან, როდესაც ფოთში ან ბათუმში შეექმნებათ პრობლემები, ჩვენ რატომ არ უნდა დაგვეხმარონ? ვისაც ეკუთვნის ჩვენი დახმარება, რატომ არ გვეხმარებიან?“, – განაცხადა ჯიბლაძემ.

მისივე თქმით, გემზე თითქმის ოთხი თვეა, იმყოფებიან და ნელ-ნელა მათი მდგომარეობა მძიმდება. ჯიბლაძის ინფორმაციით, გემზე მყოფებს დღეს წყალიც გაუთავდებათ.

– სირიის საზღვარზე ვართ, ისკანდერუნში. ჩვენ გეგმაშია ბოლომდე ბრძოლა და ასე ადვილად არ დავთმობთ ამ ყველაფერს. მეზღვაურთა დაუწერელი კანონია, რომ თუ გემიდან ჩადიხარ უფულოდ, იმ ფულს ვერასოდეს ვერ აიღებ. სანამ აქ ვართ, კიდევ გვაქვს პატარა შანსი ხელფასის აღების, – აღნიშნა მეზღვაურმა.

მისივე თქმით, გემთმფლობელი ხელფასის გადაუხდელობის მიზეზად გაკოტრებას ასახელებს.

ინტერპრესი

მიშეგო, გამოდით, უნდა დაგთვალოთ!

„საკაკაშვილი მსოფლიო დონის ლიდერია, იგი ამჟამად ჩართულია გლობალურ პოლიტიკაში და, რა თქმა უნდა, ხელს უშლის პუტინის პოლიტიკის განხორციელებას. ივნისში იგეგმება ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და ეს ფაქტი პირდაპირ ხელს შეუშლის ევროკავშირში ჩვენს ინტეგრაციას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციისთვის მიზანმიმართული კამპანიაა. ამიტომ მას, როგორც რეფორმატორ პრეზიდენტს, სოლიდარობას ვუცხადებთ“.

არ შეგეშინდეს, ძვირფასო მკითხველო, ეს ჩემი სიტყვები არ არის. ეს განცხადება 26 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის“ ხელმძღვანელმა თამარ ბეგიაშვილმა გააკეთა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წინ 27 მარტს გასამართი აქცია დააანონსა. ასევე ხელისუფლებას მოუწოდა, სისხლის სამართლებრივი დევნა იმ ორგანიზაციების მიმართ დაიწყოს, რომლებიც საქართველოში რუსეთის ინტერესებს პირდაპირ ატარებენ.

მას ახალგაზრდულ-ინტელექტუალური გაერთიანება „ლაზარე“ (ხელმძღვანელი – ავთანდილ ბიგვავა), „პიკასოს კლუბი“ და სხვა „მარად გამჭვირვალე და დასავლური ღირებულებებისთვის მუხლჩაუხრელად მებრძოლი“ NJO-ებიც აჰყვნენ და 27 მარტს პროკურატურასთან შეიკრიბნენ.

მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აქცია გაიმართა, რომლებიც ერთმანეთისგან პოლიციის კორდონით იყო გამოყოფილი.

საწინააღმდეგო აქცია პროკურატურის შენობასთან მელორ ვაჩნაძემ, რატი მაისურაძემ და სხვა მოქალაქეებმა გამართეს. როგორც მელორ ვაჩნაძემ განაცხადა, ის სრულად არის პასუხისმგებელი იმ მოვლენებზე, რომელიც დღეს პროკურატურასთან განვითარდება. **„აქ პატარა მიშები მოდიან. ჩვენ ყოველთვის ხმაურით ვხვდებოდით სააკაშვილს. ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე იბრძოდნენ. ჩვენ გავივლით რეპეტიციას, სანამ სააკაშვილი ქვეყანაში დაბრუნდება. პატარა მიშებმა თავის თავზე უნდა იწვნიონ ის განწყობა, რაც საქართველოში არსებობს.“**

კონტრაქციის ერთ-ერთმა მონაწილემ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციის მონაწილეებს პლაკატი დაუხია, იყო ფიზიკურ დაპირისპირება, რის შემდეგაც პოლიციამ აღნიშნული პირი შემთხვევის ადგილიდან გაიყვანა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს გაზეთში ვწერდი, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების მიმართ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოხატული მხარდაჭერა, მათ მიერ ორგანიზებული აქციები, ლურჯ-ყვითელ ფერებში „გადაწყვეტილი“ კაშნეებით, სხვადასხვა ტელეეთერებში მსხდომი ე.წ. „ცნობადი“ სახეებიდან დაწყებული, „სევდიანი“ ვიდეოკლიპით გაგრძელებული და ღამღამობით პარლამენტის წინ სანთლების დანთებით დამთავრებული, სულაც არ არის უკრაინის მხარდაჭერა. პირიქით, მსგავსი ქმედება ნაციონალების მიერ საკუთარი ძალების შეფასებას და სააკაშვილის რევანშისთვის საფუძველის მომზადებას ემსახურება.

გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები თბილისში „მაიდანს“ ამზადებენ და რომ ეს სერიოზული მზადებაა.

ამზადებენ სამი კატეგორიის ძალას: პირველი, ესაა სტუდენტები, რომელთანაც მუშაობს „თავისუფალი ზონა“ და მისი ფილიალები, ტარდება ტრენინგები, მიდის ამ სტუდენტების იდეოლოგიური მომზადება. მეორე, ესაა ფენა სტუდენტებისა და სპორტსმენებისა, რომლებიც ულტრანაციონალური და რადიკალური ლოზუნგებით გამოვლენ, და, მესამე, ეს არის მაღალი დონის სპორტსმენები, რომლებსაც ამზადებენ კონკრეტულ სპორტულ დარბაზებში.

ეს საკმაოდ კარგად დაფინანსებული მზადებაა. ამ აქციების დამფინანსებლები ძალიან კარგად უხდიან სტუდენტებსაც და სპორტსმენებსაც, ასევე იმ ულტრანაციონალისტურ ელემენტებსაც, რომელთა არენაზე გამოყვანასაც ესენი აპირებენ. საუბარი მიდის იმაზე, რომ მოაწყონ სხვადასხვა ტიპის პროვოკაციები სხვადასხვა თემაზე. ამას ხაზს ვუსვამ. ეს არ არის მარტო ნატო, „ევრაზიული კავშირი“, ან ევროკავშირი, სულ სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით გეგმავენ პატარ-პატარა პროვოკაციების.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ „რუსთავი-2“-ისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მობილიზების გარდა, არაერთი საინფორმაციო საიტი გახსნა, რომლებიც სწორედ იმ მიმართულებით მუშაობენ, რომ საქართველოში საპროტესტო ტალღა აგორდეს. „რუსთავი-2“ ძირითადად საშუალო და უფროსი ასაკის მომხმარებელზეა გათვლილი, ხოლო საინფორმაციო საიტებს ძირითადად ახალგაზრდები ეცნობიან. სწორედ ისინი არიან ნაციონალური მოძრაობის სამიზნე.

ასევე ძალიან კარგად მუშაობს ე.წ. „იგნორის“ პრინციპი. ერთ უმარტივეს მაგალითს მოვიყვან.

უკვე რამდენიმე დღეა, თბილისში, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობს ყოფილი პოლიტპატიმრების აქცია, რომლებსაც საკმაოდ სამართლიანი და ლოგიკური მოთხოვნები აქვთ.

პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში არც ერთი ტელეკომპანია „ტვ-3“-ის გარდა, არ დაინტერესებულა ამ აქციით. არ გაკეთებულა არც ერთი, თუნდაც 5-წამიანი სიუჟეტი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეთა ნაწილი საზოგადოებრივ მაუწყებელში მივიდა და მათი ხელმძღვანელობა, რბილად რომ ვთქვა, „შეაფუცხუნა“, იკადრეს და „მოამბეს“ გამოშვებაში საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი გააკეთეს, ხოლო 29 მარტს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ შეკრებას, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ერთსქესიანი ქორწინებების წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებას „მიეძღვნა“, თითქმის ყველა ტელეკომპანია „დაესწრო“.

არადა, ერთი შეხედვით, პოლიტპატიმრები დღევანდელ ხელისუფლებას საკმაოდ მწვავე მოთხოვნებს უყენებენ და ეს თემა წესით „ოპოზიციის“ მომხრე ტელეკომპანიების ხელიდან არ უნდა გაეშვათ, მაგრამ მათთვის „იგნორი“ უფრო ხელსაყრელია. უფრო მომგებიანია, საზოგადოებას აჩვენო „იდენტობის“ უსქესო, უჯიშო, უეროვნებო და ურწმუნო ხალხი, აჩვენო და მათ ქვეცნობიერში „პროტესტი“ დალექო, ვიდრე რეალურ პრობლემებზე გაამახვილო ყურადღება და ამით „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 17 მაისს დაგეგმილ საკმაოდ ფართომასშტაბიან პროვოკაციას საფუძველი კიდევ უფრო გაუმყარო.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის აქტივობა უცხოურ ტელევიზიებში, მისი რევანშისტული განცხადებები სხვადასხვა ბეჭდურ მედიაში საკმაოდ დიდი კრიტიკის ქარცეცხლში ეხვევა, საკმარისი არ არის. მაგალითისთვის მოვიყვან მის ერთ-ერთ ბოლო განცხადებას, რომელშიც ხოსე მანუელ ბაროზო, ფაქტობრივად, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პოტენციურ ქმედებაში ამხილა.

„ხოსე მანუელ ბაროზომ მითხრა, როგორც კი შენი მთავრობა შენ დაგაპატიმრებს, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს არ არის პუტინის მიერ კონტროლირებადი მთავრობა და მე ვიქნები პირველი, ვინც დააყენებს საკითხს, რომ საქართველოს შემდგომი პროგრესი გაჩერდეს.

არადა, ერთი შეხედვით, პოლიტპატიმრები დღევანდელ ხელისუფლებას საკმაოდ მწვავე მოთხოვნებს უყენებენ და ეს თემა წესით „ოპოზიციის“ მომხრე ტელეკომპანიებს ხელიდან არ უნდა გაეშვათ, მაგრამ მათთვის „იგნორი“ უფრო ხელსაყრელია. უფრო მომგებიანია, საზოგადოებას აჩვენო „იდენტობის“ უსქესო, უჯიშო, უეროვნებო და ურწმუნო ხალხი, აჩვენო და მათ ქვეცნობიერში „პროტესტი“ დალექო, ვიდრე რეალურ პრობლემებზე გაამახვილო ყურადღება და ამით „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 17 მაისს დაგეგმილ საკმაოდ ფართომასშტაბიან პროვოკაციას საფუძველი კიდევ უფრო გაუმყარო.

ეს ინფორმაცია ეფუძნება ინფორმაციას, ეს ინფორმაცია ეფუძნება ინფორმაციას, ეს ინფორმაცია ეფუძნება ინფორმაციას.

ვინ მფარველობს „ალ მოსტაფას“?

საერთაშორისო უნივერსიტეტი თუ საქართველოს მიზანმიმართულად დასაქუცმაცებლად ჩადებული ნაღმი?!

მესამე წელია, რაც საქართველოში, რუსთავის გზატკეცილზე, სასტუმრო „ბაქოს“ მოპირდაპირე მხარეს მოქმედებს ირანის ისლამური რესპუბლიკის ქ.ყუმში არსებული ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის (რელიგიური უმაღლესი სასწავლებელი) ფილიალი.

თუ დაინტერესებული მკითხველი ინტერნეტში „გუგლზე“ იხილავს საიტს www.almustafa.ge წაიკითხავს — **„ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქ.თბილისი. საქართველოს რესპუბლიკა. ტელეფონი 557965011. რეგისტრაციისთვის განცხადების წარსადგენად შეგიძლიათ მიმართოთ ფონიჭალაში მდებარე რასულ-აქრამის სახელობის მედრესეს. აგრეთვე, განცხადება შეგიძლიათ წარადგინოთ უნივერსიტეტის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდის საშუალებით www.almustafa.ge“.**

დავიწყოთ იმით, რომ ზემოხსენებულ სასწავლებელში ძირითადად საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლები სწავლობენ. პედაგოგებიც, როგორც თავად აცხადებენ — საქართველოს სასულიერო (ისლამი, შიიტები) პირები არიან და ისინიც ეროვნებით აზერბაიჯანელები. მათ სრული უმაღლესი რელიგიური განათლება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2004-2013 წლებში გაიარეს და მიიღეს უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი.

ალ მოსტაფას სახელობის სასწავლებლის (რომელიც ირანში, ქ.ყუმში არსებული ამავე სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფილიალს წარმოადგენს) მთავარი დანიშნულებაა საქართველოს ახალგაზრდებს (ძირითადად, აზერბაიჯანელებს) საშუალება მისცეს მიიღონ ისლამის სათანადო სწავლა-განათლება, რათა შემდგომში წარჩინებულ კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცეთ სწავლა უფასოდ გააგრძელონ ირანში, ხსენებულ უნივერსიტეტში, სადაც სწავლის პროცესში უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო საერთო საცხოვრებლითა და კვებით. ხუთწლიანი განათლების მიღების შემდეგ მოსწავლეები ხდებიან დიპლომირებული სპეციალისტები — თეოლოგები არა მარტო ისლამის, არამედ ქრისტიანული და იუდეური რელიგიების განხრით. წარჩინებული დიპლომატები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სწავლა-განათლებას, სტაჟირებას (ასევე უფასოდ) გაივლიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს ისლამურ სასწავლებლებში. ყოველივე ამის შემდეგ ისინი ბრუნდებიან საქართველოში და აქ გააგრძელებენ ისლამისტურ საგანმანათლებლო პედაგოგიურ საქმიანობას ზემოხსენებულ სასწავლებელში. ისინი მიზნად ისახავენ კონტინგენტის გაფართოებას და ფილიალების შექმნასაც, ასე ვთქვათ „უწყინარი თეოლოგების“ მომზადებას. სასწავლებლის პედაგოგები არც მალავენ და ომახიანადაც აცხადებენ, რომ ირანში ხსენებულ უნივერსიტეტში უმაღლეს რელიგიურ-თეოლოგიური ცოდნით შეიარაღებული პირები განკუთვნილი არიან იმისთვის, რომ სამშობლოში (საქართველოში) დაკავდნენ არა მარტო რელიგიური (ისლამური) პედაგოგიური საქმიანობით, არამედ ქვემო ქართლში (ხაზგასმითაა ნახსენები — ქვემო ქართლში) სახელისუფლო სტრუქტურებში მაღალი რანგის თანამდებობებზე, მათ შორის გუბერნატორის, გამგებლის, რეგიონის და რაიონების სამართალდამცავ სისტემებში. სასწავლებლის გახსნა განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ ეროვნებით აზერბაიჯანელი მოქალაქეები თავიანთ სამშობლოში, საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, რომლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილსაც შეადგენენ, სახელისუფლებო სტრუქტურებში ან საერთოდ არ არიან თანამდებობებზე, ან ძალიან დაბალ პოსტებს იკავებენ. ეს კი ყოველად დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის მესვეურები არც იმას გამორიცხავენ, რომ ქვემო ქართლში თავიანთი უფლებების გაფართოების მიზნით შეიქმნება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანიც ქვემო ქართლისთვის ავტონომიის მინიჭება იქნება.

აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული. აი, თურმე, რა მიზნით შეიქმნა და უკვე სამი წელია ფუნქციონირებს „ალ მოსტაფას სასწავლებელი“ საქართველოში!

ახლა რაც შეეხება ჩვენს ჟურნალისტურ გამოძიებას.

სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციიდან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) ჩვენს მიერ მოთხოვნილი და მიღებული ოფიციალური წერილებით დგინდება, რომ ხსენებულ წარმომადგენლობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან არ აქვს მიღებული ავტორიზაცია და არც აკრედიტაცია. არ არის დარეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში და, შესაბამისად, არ ირიცხება, როგორც გადამხდელი პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული სასწავლებელი წლებია არაკანონიერად ფუნქციონირებს. ამის შესახებ სულ ცოტა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და შსს-ს შესაბამის სტრუქტურებს უნდა შეეტყობინებინა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ზემოთ ხსენებული სტრუქტურებიც კანონს არღვევდნენ სულ მცირე 2013 წლის 19 დეკემბრამდე (სწორედ ამ დროს ჩვენ წერილობით მივმართეთ შს სამინისტროს). 2013 წლის ნოემბერში ასევე წერილობით მივმართეთ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს. არც ელჩმა და არც საელჩომ პასუხი დღემდე არ მოგვაწოდა.

ხსენებულ უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს ირანის მოქალაქე, ვინმე დაუდ გაშამი. მისი წინამორბედი გახლდათ ასევე ირანის მოქალაქე მუხამედ რეზა ქალან თარიბაი.

ჩვენი სააგენტოს მიერ ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის დაუდ გაშამის სახელზე გაკეთდა წერილობითი მიმართვა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო კითხვები დავსვით ამ წარმომადგენლობის საქართველოში საქმიანობის კანონიერების შესახებ. არც ამ წერილზე მიგვიღია პასუხი.

ამის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალეთ შევხვედროდით „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ იმ დროს მოქმედ და ამჟამად „გადაყენებულ“ შეიხს ვაგიფ აკფეროვს. მან აღნიშნა, რომ ამგვარი ინსტიტუტის არსებობის შესახებ არაფერი სმენია და არავითარი ინფორმაცია არ მიუღია საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისგან, არც თავად წარმომადგენლობისგან, არც ირანის ისლამური სახელმწიფოს საელჩოსგან. ამის გარდა, მან დასძინა, რომ აზერბაიჯანში ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის საქმიანობა კანონით აკრძალულია. თუ რა მიზეზით, ეს არ დაუკონკრეტებია.

წარმომადგენლობის პედაგოგებმა საუბრისას განგვიცხადეს, რომ წარმომადგენლობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვთ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ხსენებული უნივერსიტეტებიდან მივიღეთ წერილობითი პასუხები, რომლებშიც არ დასტურდება ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის არსებობა.

ჩვენ დავადგინეთ (რაზედაც გაგვაჩნია წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი — მემორანდუმის ასლი), რომ ირანის ისლამური სახელმწიფოს ალ მოსტაფას სახელობის უნივერსიტეტის საქართველოში წარმომადგენლობას 2011 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული აქვს ფართო ხასიათის მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან.

მემორანდუმის გათვალისწინებით ირანში 2012 წლის ოქტომბერში ირანის მხარის დაფინანსებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა ორტომიანი კრებული (ამ კრებულის ერთი ეგზემპლარი ჩვენ გვაქვს).

როგორც მემორანდუმზე საქართველოს სახელით ხელმომწერმა პირმა — საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ განგვიცხადა კონფერენციას ირანში ესწრებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები.

მემორანდუმს ირანის ისლამური სახელმწიფოს ქ.ყუმის ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის საქართველოში წარმომადგენლობის მხრიდან ხელს აწერს არა ამ წარმომადგენლობის პირველი პირი, არამედ ირანის ისლამური სახელმწიფოს ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ალირეზა არაფი.

მემორანდუმის ყოველ ფურცელზე აღბეჭდილია მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბეჭედი, იმავე მემორანდუმის არც ერთ ფურცელზე არ არის დასმული საქართველოში ირანის ისლამური სახელმწიფოს ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის და არც წარმომადგენლობის ბეჭედი.

აღსანიშნავია, რომ ამ მემორანდუმზე ხელის მომწერ ქართულ მხარეს, რომელსაც აქვს თავისი იურიდიული სამსახური, რომლის ვიზის გარეშეც ამ მემორანდუმზე ხელის მოწერა არ უნდა მომხდარიყო, „გამოეპარა“ ის, რომ მემორანდუმი გაფორმდა ერთ იურიდიულ პირთან და მასზე ხელს აწერს მეორე იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რაც დაუშვებელია, თუ არ ჩავთვლით იმას, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით,რომ მემორანდუმზე დასმული არ არის ირანის მხარის ბეჭედი.

ამის გარდა, დაუშვებელია, და ამავე დროს, დაუჯერებელია ის, რომ მემორანდუმზე ხელის მომწერმა საქართველოს მხარემ საჭიროდ არ ჩათვალა ხელის მოწერამდე გადაემოწმებინა, ხსენებული წარმომადგენლობა საქართველოში არის თუ არა ოფიციალურად დარეგისტრირებული. გარკვეულია, რომ წარმომადგენლობა არასოდეს არ ყოფილა და არც ამჟამად არის ოფიციალურად დარეგისტრირებული.

სერგო ვარდოსანიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ალი-რეზა არაფი საქართველოს საპატრიაქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს მას წარუდგინა საქართველოში ირანის ისლამური სახელმწიფოს საელჩოს იმდროინდელმა კულტურის ატაშემ.

ეს კი არანაირ საფუძველს არ იძლევა იმისას, რომ ირანის ისლამური სახელმწიფოს დიპლომატის მიმართ პატივისცემის ფაქტორის გათვალისწინებით, საქართველოს მხარე „ბრმად“ უნდა ენდოს მას და დაიჯეროს ის, რომ ხსენებული წარმომადგენლობა საქართველოში ოფიციალურად არის დარეგისტრირებული.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან ჩვენს მიერ წერილობით დასმულ კითხვაზე მივიღეთ წერილობითი პასუხი, რომელშიც ისინი თავს არიდებენ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

ზემოთ მოყვანილი, დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები, საკმარის და აუცილებელ დასტურს იძლევიან იმაზე, რომ ხსენებული მემორანდუმი არანაირ იურიდიულ ძალას არ წარმოადგენს და ის აუცილებლად უნდა გაბათილდეს ქართული მხარის მიერ, მაგრამ მემორანდუმი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არ არის გაბათილებული.

სააიპ „ალ მოსტაფა“ დააფუძნეს ირანის ისლამური სახელმწიფოს მოქალაქემ მოხამად რეზა ქალან თარიბაიმ (თავმჯდომარე) და საქართველოს მოქალაქეებმა ელჩინ ალიევმა, ყურბან მურგუზოვმა, ელჯან გუსეინოვმა, რახიმ ტერიმოვმა და როსტამ მამედოვმა. ესენი, ამავე დროს, ითვლებიან წარმომადგენლობის პედაგოგებად.

2013 წელს მოხდა სააიპ-ს „ალ მოსტაფას“ გადარეგისტრირება, რის შედეგად მის თავმჯდომარეს დღემდე წარმოადგენს ირანის ისლამური სახელმწიფოს მოქალაქე დავუდ გაშამი.

ჩვენმა სააგენტომ აღნიშნულის შესახებ ორჯერ (2013 წლის 11 დეკემბერს და 2014 წლის 4 თებერვალს) წერილობით მიმართა საქართველოს შსს-ს მინისტრს. პასუხი დღემდე არც ერთ მიმართვაზე არ მიგვიღია.

ამის გამო 2014 წლის 26 თებერვალს ჩვენმა სააგენტომ წერილობით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ი.ღარიბაშვილს და საქართველოს მთავარ პროკურორს გ.ბადაშვილს, ასლი კი გადავუგზავნეთ შსს-ს მინისტრს ა.ჭიკაიძეს.

მოკლე დროში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული დეპარტამენტისგან (ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი ლევან ერიქაშვილი), მივიღეთ ასლის სახით პასუხი. იგივე წერილი გაიგზავნა საქართველოს შსს-ს და ასლის სახით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მისამართით. წერილში ნათქვამია — **„გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი რეაგირება თქვენი კომპეტენციის ფარგლებში“.**

სსსკ-ს მე-100 და 101-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოში შსს-ს იმის შემდეგ, რაც 2013 წლის 19 დეკემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო ჩვენი წერილობითი მიმართვა, ვალდებული იყო დაეწყო გამოძიება.

2013 წლის 17 დეკემბერს პრაიმ ტაიმის პრესკლუბში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელზეც მე ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“-ს დირექტორმა თენგიზ ჩხიკვაძემ ვაცნობე იქ დამსწრე ჟურნალისტებს ზემოთ აღნიშნული ფაქტების შესახებ. პრესკონფერენციის თაობაზე ქვეყნის მედიამ არანაირი რეაგირება არ მოახდინა, ანუ საქართველოს ფართო საზოგადოებას არ ეცნობა ჩვენი შეფასებით საშიში და დაუშვებელი ფაქტები. ამ დროს ირანის ისლამური სახელმწიფოს ალ მოსტაფას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის საქართველოში ე.წ. წარმომადგენლობა ისევ ფუნქციონირებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ეჭვი გვაქვს, რომ ამ წარმომადგენლობას ხელისუფლება მფარველობს. თუ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, მაშინ ხელისუფლება ვალდებულია, ღიად მოახდინოს ჩვენი სააგენტოს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების, ანუ მასში მოყვანილი ფაქტების და მათი დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაბათილება, რის შემდეგ პირადად ჩემს მიმართ, როგორც სიყალბის გავრცელებაში მხილებული პირის წინააღმდეგ, უნდა გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები ან ჩვენი მასალების საფუძველზე უნდა დაიწყოს გამოძიება. ამით ქვეყნის ფართო საზოგადოებისთვის ნათელი გახდება ის, რომ საქართველოს ხელისუფლება რატომღაც თვალს ხუჭავს უკანონობაზე, რომელიც მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ მფარველობს „ალ მოსტაფას“? რას წარმოადგენს ეს დაწესებულება — სასწავლებელს თუ მიზანმიმართულად, საქართველოს დასაქუცმაცებლად ჩადებულ ნაღმს?

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

◎ ᲓᲐᲕᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲗ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲓᲔ?

„ᲤᲘᲤᲚᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ თვე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა „ფიფლმეტრების“, ანუ ტელეარხების რეიტინგების მზომი საშუალების შესახებ. ოჯახებში ნებაყოფლობით დამონტაჟებული მოწყობილობა ტელევიზორის ყურების პროცესში ამოიცნობს სატელევიზიო სიხშირეებს და ამ მონაცემებს სერვერს გადასცემს. ანუ ამის მიხედვით დგინდება რა დროს, რომელი არხია ყველაზე მეტად „ყურებადი“. აღმოჩნდა, რომ წლების განმავლობაში რეიტინგების სათავეში „რუსთავი-2“ იმყოფებოდა. შესაბამისად, ყველაზე ძვირად ფასობს ამ არხზე რეკლამის განთავსება.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ შემთხვევითი შერჩევის გზით, ფინანსური აუდიტის ჩატარება მოითხოვა „თი-ვი-ემ-არ-ჯორჯიაში“, ანუ იმ კომპანიაში, რომელიც ამ „ფიფლმეტრების“ დამონტაჟების პროცესს კურირებს. ინვენტარიზაციის კვალდაკვალ აუდიტორებმა იმ ოჯახების პერსონალური მონაცემები მოითხოვეს, სადაც ეს მოწყობილობებია დაყენებული, რაზეც მკაცრი უარი მიიღეს. კომპანია ამის გამო 2 ათასი ლარით დაჯარიმეს და სასამართლოშიც უჩივლეს.

ამ თემასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ისინი საფრთხეს ხედავენ იმაში, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია „ფიფლმეტრების“ მქონე ოჯახების მისამართების შესახებ გასაჯაროვდეს.

რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის „ფიფლმეტრების“ მქონე ოჯახების შესახებ ინფორმაციას? როგორც „რუსთავი-2“-ის დირექტორი **ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ** აცხადებს: **„სახელმწიფოს სურს, გამოიყენოს სიები იმისთვის, რომ შემდეგში თავად მართოს რეიტინგები და სათავეში მოაქციოს სახელისუფლებო არხები“.** მეტიც, როგორც ამბობს, მას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სერიოზული კარტელური შეთანხმება ხდება ქართულ ტელესივრცეში, სადაც „რუსთავი-2“-ის გარდა ყველა ტელემედიამაუწყებლობა მონაწილეობს. **„სახელმწიფომ მიზნად დაისახა „თი-ვი-ემ-არ-ჯორჯიას“ განადგურება, რაც გამოიწვევს სხვა ფინანსურად დამოუკიდებელი ტელეკომპანიების განადგურებას. მედიის დამოუკიდებლობა გადის ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, თუკი შემოსავლები არ გვექნება, დაიხურება ტელეკომპანია“,** — აღნიშნავს ნიკა გვარამია. ამ თეზისს იზიარებს „თი-ვი-ემ-არ-ჯორჯიაც“, თუმცა, ამის პარალელურად ავრცელებს განცხადებას, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული: **„კომპანიას აქვს აღებული ვალდებულება როგორც კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, ასევე მის დამკვეთებთან (სატელევიზიო და სარეკლამო კომპანიებთან), არ გაახმაუროს კვლევაში მონაწილე ოჯახების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერ მესამე პირზე, ხოლო მსგავსი ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეცვალოს კვლევაში მონაწილე ოჯახები“.** მართალია, კომპანია ამბობს, რომ ამას სჭირდება გარკვეული დრო და ამასთანავე ფულადი რესურსი, თუმცა, იმით აპელირება, რომ ამ სიებს ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებს, იმთავითვე საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მათი მისამართი გასაჯაროების შემდეგ მაინც უნდა შეიცვალოს. მაშინ რისთვისღა სჭირდება ხელისუფლებას ეს სიები? — საინტერესოა.

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის განცხადებით ინვენტარიზაცია ჩატარდა კომპანიის ოფისში. მაგრამ კომპანიის კუთვნილებაში არის სხვა მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობები, რაც ოფისს მიღმაა განლაგებული. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის ბრძანება არეგულირებს კომპანიის კუთვნილებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების აღრიცხვის წესს. ამ ფასეულობის აღრიცხვა უნდა მოხდეს განთავსების ადგილის მიხედვით.

არასამთავრობო სექტორი იმაზეც მიანიშნებს, რომ შემოსავლების სამსახურმა ინფორმაციის გაუცემლობის გამო უკვე დააჯარიმა კომპანია, მაგრამ ამაზე არ ჩერდება და უშუალოდ სიების გადაცემას ითხოვს, რაც მათში ეჭვს აღძრავს, რამდენად სწორად მოქმედებს სახელმწიფო...

მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ამბობს, რომ პროცესებს ხელისუფლება მართავს. **„ეს არის პირდაპირი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. „ფიფლმეტრი“ იძლევა საშუალებას, ბიზნესმა გადაწყვიტოს, თუ როგორ გადაანაწილოს ფული მედიაში. მედიასაშუალებებში ისედაც მწირია რეკლამების წილი. ბიზნესმა უნდა შეინახოს მედია. თუ დროულად არ ვიმოქმედებთ, ამას შეიძლება მოჰყვეს სხვა არასასურველი გამოვლინებები“,** — დასძენს ის.

ამ პრობლემის გამო რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დისკუსია გამართა, სადაც მოწვეული იყო ყველა მედიასაშუალების ხელმძღვანელი პირები, თუმცა, შეხვედრას „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ გარდა არც ერთი არ დაესწრო. როგორც იქ ითქვა, ხელისუფლებამ დამოუკიდებელ მედიასთან ბრძოლა ყველაზე მარტივი რგოლით „თი-ვი-ემ არ ჯორჯიათი“ დაიწყო. უკვე შეინიშნება შეშფოთება მედიაში — ხომ არ დავუკვეთოთ სხვა კვლევით კომპანიასო? შეხვედრაზე გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ფიქრობს, შექმნას სხვა გამზომი კომპანია, რომელსაც სასურველ რეიტინგებს დაუკვეთავს...

შემოსავლების სამსახურსა და „თი-ვი-ემ არ-ჯორჯიას“ შორის დავა სასამართლოში გრძელდება.

რაც შეეხება რეკლამის გადანაწილებას, კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ჯერ ბაზარს ცვლილება არ დატყობია. უმეტეს რეკლამაზე ტენდერები იმართება და ხელშეკრულებები წელიწადზე არის გაწერილი. **„თუმცა, მსხვილმა ქართულმა კომპანიებმა და რამდენიმე საერთაშორისო კომპანიამ, გვკითხეს, გავარძელებთ თუ არა კვლევას და რაიმე ხომ არ შეიცვლებაო? ჯერჯერობით, ცვლილება არ ყოფილა“,** — ამბობენ კომპანიაში.

ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲘ?

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ დაპირისპირების გამო, ქართველი მეღვინეები საფრთხეს ამ ორ ქვეყანაში ელოდნენ, მაგრამ უცებ სულ სხვა მიმართულებიდან იგემეს დარტყმა. ბელორუსული ინტერნეტ-გამოცემა **„კომსომოლსკაია პრავდას“ ინფორმაციით, ამ ქვეყანაში ქართული ღვინის იმპორტი შეწყდა. მიზეზები არ სახელდება, პრობლემის გადაჭრის გზებიც ჯერჯერობით ბუნდოვანია.**

ქართული ღვინო არა მხოლოდ ჩვეულებრივ მაღაზიებში და ჰიპერმარკეტებში, არამედ ალკოჰოლის სპეციალიზებულ მაღაზიებშიც კი თანდათან ქრება.

„ბოლო წლებში თაროებზე უსვად შეხვდებოდით რამდენიმე ათეული კომპანიის მიერ წარმოებულ „ქინძმარაულს“, „ახაშენსა“ და „ხვანჭკარას“, რომლებიც ბელორუსებმა ძლიერ შეიყვარეს. ნატურალური ქართული ღვინოები დიდი მოთხოვნით სარგებლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპულ და სამხრეთ ამერიკულ იაფ ღვინოებზე გაცილებით ძვირი ღირდა. გასული წლის ბოლოდან მაღაზიები საქართველოდან პროდუქციას უკვე ველარ იღებენ“, — წერს ბელორუსული გამოცემა.

როგორც ერთ-ერთ ჰიპერმარკეტში ჟურნალისტს განუცხადეს, მარაგები სწრაფად, უკანასკნელ ბოთლამდე გაქრა, თვით იმ მწარმოებლებისაც კი, რომლებიც დიდი პოპულარობით არ სარგებლობდნენ. **„ეს ნამდვილი უბედურებაა. ქართულ ღვინოებს ძალიან კარგად ყიდულობდნენ, ის დიდი მოთხოვნით სარგებლობდა, მაგრამ დღეს უკვე არავის შემოაქვს. ამბობენ, რომ კვოტები არ არის. ჩვენ უკანასკნელი 9 ბოთლიღა დაგვრჩა“,** — განაცხადეს მაღაზია „ევროპეისკიში“, რომელიც მინსკში მდებარეობს.

სააგენტო „ბიპიენის“ ინფორმაციით, ბელორუსში ალკოჰოლის შეტანაზე უფლება მხოლოდ სპეციალურ იმპორტიორებს გააჩნიათ. ამ უფლების მისანიჭებლად ქვეყნის ვაჭრობის სამინისტრო ყოველწლიურად კონკურსს ატარებს.

ბელორუსული ინტერნეტგამოცემა ქართული ღვინის გაუჩინარების მიზეზების დასადგენად ყველა სპეციმპორტიორს დაუკავშირდა, თუმცა, ოფიციალური პასუხის გაცემაზე ყველამ თავი შეიკავა.

„ჩვენ არ შეგვიძლია ნამდვილი მიზეზი დავასახლოთ. ქართული ღვინო ახლა არავის შემოაქვს, ეს ფაქტია. რისი შემოტანის უფლებასაც გვაძლევს ვაჭრობის სამინისტრო, იმით შემოვიფარგლებით“, — განაცხადა ერთ-ერთმა იმპორტიორმა.

იმპორტიორთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ვერ მიიღო კვოტები, მეორემ კი — აქციზი იმპორტირებულ ღვინოზე. ერთ-ერთმა მეწარმემ კი ივარაუდა, რომ პრობლემები რუსეთთან საბაჟო კავშირმა გამოიწვია.

თავად ბელორუსის ვაჭრობის სამინისტროში ყველა ჩამოთვლილ მიზეზს აბსურდი უწოდეს. **„საიმპორტო გეოგრაფიას თავად იმპორტიორი არჩევს, ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით. ერთადერთი მოთხოვნა, რაც მათ წინაშეა — ეს არის ხარისხიანი ალკოჰოლური სასმელების შემოტანა ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად. მოწოდების შესაძლობლობა ჩვენ შეზღუდული არ გვაქვს“,** — განაცხადეს ბელორუსის ვაჭრობის სამინისტროში.

ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ინფორმაციას არ ფლობენ ღვინის ეროვნულ საგენტოში ან შეიძლება ფლობენ, მაგრამ ვითარების საბოლოოდ გარკვევამდე კომენტარისგან თავს იკავებენ.

მართალია, ბელორუსი ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების ხუთეულში არ შედის, მაგრამ იგი ჩვენი პროდუქციისთვის მაინც მნიშვნელოვანი გასაღების ბაზარია. ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაში ყოველწლიურად 40 მილიონი დოლარის ქართული პროდუქცია შედის და მათ შორის ღვინოს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. რუსეთის ბაზრის გახსნის შემდეგ ბელორუსული ბარიერი ქართველი მეწარმეებისთვის შემაფერხებელი არ იქნება, მაგრამ კრემლში თავში ვის რა გადაწყვეტილება მოუვა, არავინ იცის. ამიტომ ქართველი მეღვინეებისთვის ნებისმიერი ბაზარი უმნიშვნელოვანესია, რათა რამდენიმე წლის წინანდელი კოლაფსი არ განმეორდეს.

სწორედ ამაზე საუბრობენ ექსპერტებიც, რომლებიც მეწარმეებს რუსეთის ბაზრის სრულად გამოყენებას, მაგრამ იქვე დივერსიფიცირებასაც ურჩევენ. ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე ლევან კობერიძე აცხადებს, რომ მსუყე რუსული ბაზრის გამო, მეღვინეები კომპრომისებზე არ უნდა წავიდნენ. აუცილებელია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებაზე მეღვინეებმა და სახელმწიფომ კომპლექსური მარკეტინგული სამუშაოები აწარმოონ.

„ექსპორტის ზრდა წმინდა ფინანსური თვალსაზრისით, შეესაძლოა, შეფასდეს მხოლოდ პოზიტიურად, რაც მეწარმეებს საშუალებას აძლევს დამატებითი შემოსავლები მიიღონ და რეინვესტირებაზე მიმართონ. თუმცა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რუსეთის ბაზრის არასტაბილურობა, დამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს ვიწვნიეთ კიდეც, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებით ემბარგო დაგვიწესდა. ამიტომ აუცილებელია გასაღების ბაზრის დივერსიფიკაციაზე ფიქრი“, — აცხადებს კობერიძე.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ინტერფაქსნიუსს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეტროლოგიური ინფრასტრუქტურა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობს ხელს, რადგან უზრუნველყოფს ზუსტ და საიმედო გაზომვებს.

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო დონეზე აღიარების მიზნით სააგენტოში დაინერგა ISO/IEC 17025 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. 2014 წლის მარტის თვეში ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზაში გამოქვეყნდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები (CMC) ტემპერატურის სფეროში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ სფეროში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებას.

მეზვრე ზვარს უბრუნდება!

ვიდრე ამინდი აირეოდა, რამდენიმე დღე კახეთში გავატარე. გაზაფხულის პირმცინარი დღეები იდგა ალაზნის ველზე, რომელიც ატმებისა და ალუბლების ყვავილობას ჯადოსნური ფერებით მოექარგა. მიწა აფუებულიყო, ვაზი აკვირტებულიყო და გლეხკაცს საჯილდაოდ და საპაექროდ იწვევდა. სოფლებიც, რაღა თქმა უნდა, ამ გამოწვევის პასუხად, დედაბუდიანად აყრილიყო და ბაღ-ვენახებში გაკრეფილიყო.

გზად მიმავალმა ავტომანქანა სოფელ აკურასთან შევაჩერე და საკუთარ მამულში გულდაჯერებით მომუშავე გლეხს გამოველაპარაკე. სამოცს მიტანებული, მზით გარუჯული კახელი, რომელიც გურამ ქევხიშვილად გამეცნო, ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა.

— მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, — ვეუბნები, — მახსოვს, მაშინდელი აკურის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე, ხვავბარაქიანი მეურნეობა იყო არა მარტო თელავის რაიონში, არამედ მთელ კახეთის რეგიონშიც. განსაკუთრებით ვენახები გამოირჩეოდა უხმოსავლიანობით.

— კარგია რომ გაიხსენეთ, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მოგონებადღა დარჩა, — გულისტკივილს ვერ მალავს მეზვრე, — სადღაა ის რქადაგრეხილი, კილომტევნება ვენახები, მას შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკა შემოვიდა, ზვრების ბარაქა უკან-უკან წავიდა და თავად ზვრებიც ლილოს ბაზრობას დაემსგავსა.

— ვითომ ზვრებს არ მოეწონათ საბაზრო ეკონომიკა და ამის გამო მსხმოიარობას უკლეს? შევეჭვდი.

— ზვრები არაფერ შუაშია, ჩემო ბატონო, მთავრობის უტვინო და უმაქნისმა საქმიანობამ, უფრო სწორად, უსაქმურობამ მიგვიყვანა გლეხობა ამ მდგომარეობამდე.

— რომელ მთავრობაზე ლაპარაკობთ?

— შარშან რომ გამოვცვალეთ, იმაზე და იმის წინანდელზეც. ეგენი უნდა გადააბა ერთმანეთს და ორივე ალაზანში გადაყარო!

— კაი კაცო, — ვამშვიდებ, — განა მასეთი რა დაგიშავეს, რომ ალაზანში დასახრჩობად გაიმეტე?

— უფრო მეტი რა უნდა დაეშავებინათ, მაგ უღმერთოებმა ქვეყნის მარჩენალი სოფელი ხო დააქციეს და დააქციეს, თანაც იმდენი ქნეს, რო გლეხებს მუშაობა შეგვაჯავრეს.

— შეგაჯავრეს?

— ჰო, შეგვაჯავრეს. კაცი რო მთელი წელიწადი ოფლსა ღვრი და საკუთარ სარჩო-საბადებელსაც ვერ შექმნი, შეგჯავრდება შრომა, აბა რა იქნება? განსაკუთრებით მევენახეები ჩავცვივდით ცუდ დღეში. მოგვყავდა მოსავალი, ვაბარებდით ღვინის ქარხნებს, მაგრამ რასაც შრომა-ჯაფაში ვხარჯავდით, იმდენსაც ვერ ვიღებდით.

— მთავრობა არაფერს გეხმარებოდათ?

— დახმარებას ვინ ჩივის, აქეთ გვაქეზებდა, თუ ვენახიდან მოსავალს ვერ იღებთ, არ დაგეზაროთ, გაჩეხეთ (გაკაფულ 1 ჰექტარზე 2 ათას ლარს იძლეოდნენ) და სხვა კულტურა გააშენეთო. ბევრმა გაჭირვებულმა გლეხმა ცდუნებას ვერ გაუძლო, შვილივით ნაზარდი ვენახი გაკაფა და ატმის ბაღი გააშენა, ზოგმა უფრო იოლი გზა აირჩია და ნავენახარზე მარწყვი მოამრავლა...

— ახლა რა ხდება?

— ახლა რაც ხდება, თქვენც ხედავთ, სოფელმა შრომისკენ პირი იბრუნა, რაც ყველაზე მთავარია, კახელი გლეხი ისტორიულად თავის მარჩენალ ტრადიციულ კულტურას — ვენახს უბრუნდება. ახლა ვაზს აღარავინ ჩეხავს, პირიქით, ბევრმა ახალი ვენახის გაშენება დაიწყო.

— როგორ ფიქრობთ, სოფლის ასეთი ფერიცვალება რამ განაპირობა?

— პასუხი მარტივია — სოფლის მეურნეობისადმი ახალი მთავრობის კეთილგონივრულმა დამოკიდებულებამ. მთავრობა გლეხკაცობას, როგორც იქნა, გვერდში ამოგვიდგა. წლობით დაუმუშავებელი მიწები უფასოდ მოგვიხ-დაგვითესა, დაგვირიგა ბარათები, რომლის მეშვეობითაც სამუშაო იარაღები და საჭირო ნივთები შევიძინეთ. იმათ, ვისაც ვენახები სეტყვამ გაუნადგურა, ხელისუფლებამ ზარალი მთლიანად აუნაზღაურა. და რაც ყველაზე მთავარია, მევენახეებს, მთელი ამ ოცდაათწლიანი ხელმოცარულობის პერიოდში, პირველად გაწეული შრომა აგვინაზღაურდა.

— გინდა თქვა, რომ ჩაბარებულ ყურძენში ღვინის ქარხნებმა კარგად გადაგიხადეს?

— აკი გეუბნებით, პირველად გვეღირსა, რომ კილოგრამ რქაწითელაში 1 ლარზე მეტი ავიღეთ, ხოლო საფერავის ფასმა ზოგ შემთხვევაში 2 ლარსაც კი გადააჭარბა. პირადად მე შარშან შემოდგომაზე ღვინის ქარხანას 1,5 ტონა საფერავი მივუწონე და ოჯახში 3 ათას ლარზე მეტი შევიტანე. ბევრმა ჩემმა თანასოფლელმა 2-3-ჯერ მეტი თანხა აიღო. ასეთ შემოსავალზე ადრე ვერც ვიოცნებებდით.

კარგია, რომ გლეხმა მთავრობის მხრიდან თანადგომა იგრძნო, ვფიქრობდი ჩემთვის გურამ ქევხიშვილთან დამშვიდობების შემდეგ. როგორც თელავის რაიონის გამგეობაში მითხრეს, ახლა ვენახს კახეთში აღარავინ ყიდის, ძირითადად, ახლის გაშენება მიდის. ბოლო ერთ წელიწადში აქ ვენახის ფასი გაორმაგდა. ამ 5 წლის წინათ თუ 1 ჰექტარ ზვარს 2800-3000 ლარად იყიდდი, ახლა მის შესაძენად 10-12 ათასი ლარია საჭირო. ვენახის გაძვირება სწორედ ყურძნის შარშანდელმა მაღალმა ფასმა განაპირობა.

თითქმის გასამმაგებულია ვაზის ნერგის ფასიც, რომელიც კახეთის სოფლებში გამოყავთ. ადრე თუ 1 ცალი ნერგი 50 თეთრად იყიდებოდა, ახლა მისმა ფასმა 1,5-2 ლარამდე აიწია. ასევე გაძვირებულია ბეტონის ბოძები (1 ცალის ფასი 14-15 ლარია), რომელიც საქართველოში აღარ მზადდება. ამიტომ ვენახის გაშენება საკმაოდ ძვირი — 12 ათასიდან 14 ათასამდე ჯდება, სრულ მოსავალს კი გლეხი მეოთხე წელიწადს იღებს. კარგი მოსავლის შემთხვევაში 1 ჰექტარი ვენახი 10-12 ტონა ყურძენს იძლევა.

შარშანდელი რთველი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მეღვინეები ყურძნის მიღებაზე ცხვირს აღარ იბზუებდნენ და უხვად იბარებდნენ. მთავრობისგან პირობა ასეთი იყო: ვინც ყურძენს 1 ლარად ჩაიბარებდა, ბანკისგან დაბალპროცენტიან კრედიტს მიიღებდა. რუსეთის ბაზრის გახსნის ფონზე, მეღვინეებისთვის ეს შეთავაზება სარფიანი აღმოჩნდა. ბოლოს ყურძენზე მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ 1 კილოგრამი რქაწითელის ფასმა 1,2 ლარს მიაღწია, ხოლო საფერავის ღირებულებამ 2 ლარსაც კი გადააჭარბა.

იმის მოლოდინმა, რომ ქართულ ღვინოს რეალიზაციის პრობლემა მოეხსნებოდა, ერთდროულად მეღვინეც გაამხნევა და მეზვრეც, რომელმაც შრომა აინაზღაურა. **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შარშან ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 127 850 000 დოლარი შეადგინა, რაც 63 მილიონი დოლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ნიშანდობლივია, რომ 2013 წელს ასევე ორჯერ გაიზარდა უცხოეთში საექსპორტოდ გატანილი ღვინის ოდენობა და მან 46,7 მილიონი ბოთლი შეადგინა.**

ქართული ღვინო რომ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება უცხოურ ბაზარზე, ამაზე მეტყველებს წლევანდელი იანვარ-თებერვლის მაჩვენებელიც, რომელიც გვაუწყებს, რომ ღვინის ექსპორტის მოცულობა თითქმის სამჯერ (296 პროცენტით) გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. წლეულს იანვარ-თებერვალში 50-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანიის მიერ მსოფლიოს 18 სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტირებულია **9990 397 ბოთლი ღვინო.**

ჩვენებური ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულში შედიან: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. ექსპორტის მთლიან მოცულობაში 68 პროცენტით ლიდერობს რუსეთი, სადაც წლევანდელ იანვარ-თებერვალში 6865 546 ბოთლია ექსპორტირებული.

ქართველ მეზვრეთა და მეღვინეთა მონაპოვარი განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ ეტაპზე, როცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (ნატო) აღმოსავლეთით დროებით გაფართოებას აღარ აპირებს. ღვინის ექსპორტის გაორმაგებული მაჩვენებელი იმის გარანტიას იძლევა, რომ ყურძენზე მოთხოვნა წელსაც დიდი იქნება, რაც ქვეყანაში მევენახეობის ზრდის დაწყებულ ტენდენციასა და თავად მევენახეთა ენთუზიაზმზე, ბუნებრივია, მკაფიოდ აისახება. რაც მთავარია, გლეხკაცში ბოლო წლებში მოძალებული უიმედობა და ხელმოცარულობა იმედიანმა პერსპექტივამ ჩაანაცვლა — მეზვრე ზვარს უბრუნდება!

ოთარ ხუციშვილი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● თქვენ გგონიათ წიკლაურმა იცის ნაცებმა რო აცემინეს? სჯერა რო მტრები ყავს და ამაყია.

● იურისპოდენციაში არის ტერმინი „ბოროტი ხულიგნობა“. შესაბამისად უნდა იყოს (არ არის) კეთილი ხულიგნობაც. უფრო მეტიც, მხიარული ხულიგნობა!

როგორ შეილება წიკლაურის ჯირყვნა ბოროტებად შეფასდეს, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში მხირულება გამოიწვია. კანონმდებლებო შეიტანეთ შესწორება.

● — წუკლარა ცემეეს! წუკლარა ცემეეს! გაისმა დილის კურიერიდან ქურთი მარატიკას ყვირილი.

მთელი ქობულეთის აღმართი და დანარჩენი თბილისი გამოეფინა აივნებზე.

— უფრო მეტი უნდა ექნათ — თქვა კუკარაჩამ.

ყველა დაეთანხმა და სახლებში შებრუნდნენ.

● ცოტა ადრე ეცემათ, ჩადგა ქარი, ეგრო ხარისხიანად ეცემათ ზღვის სეზონიც დადგებოდა.

● ვრცელდება კეტრინ ეშტონის და მანუელ ბაროზოს შეშფოთების ტექსტი, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტზე, რომელიც დათარიღებულია 30.03.2014 რიცხვით.

● უკაცრავად და ბოდიში მომიითხოვია, მარა „ნატო“ ბოზი ქალი კი არაა, ყველა მსურველს რომ მიცეს მაპი!

● გეფიცებით, თუ მაგას ცხოვრებაში ნაჩხუბარი ქონდეს. თავს თუ გესხმიან მაგ დროს, რაოდენობას ითვლი, რამდენი დაგესხა, თუ თავს იცავ? თან რვაო კაცოოოოოო, რომელი რემბო მყავს, რომ თან ურტყამდნენ, თან ელექტროშეკეებიო და მაინც ვერ დააგდეს მიწაზე. კიდე ცოტა მოხვდა. ვახ, კაცოოოოოოოოოოუ, მორჩა, სტალონე ჩამოწერილია.

● ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა, რომელიც ისედაც არ იწვევდა ნდობას და სიმპატიას, ეს-ესაა „მაესტროს“ სუბიექტურ ეთერში განაცხადა, რომ (ლამის) ბუხაიძეს უწამებია და მოუკლავს (?!) თავისი მეგობარი გირგვლიანი!

● რა ცუდი უნდა იყო, რომ შენს ცემაზე მთელი ქვეყანა ღადაობდეს?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

საკრებულოს თავმჯდომარე პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით , ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იასონ ჭუმბურიძე პასუხისგებაში მისცეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტსა და შპს „მანგს“ შორის, ჭიათურაში მდებარე კლდის ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვის რამდენიმე ხელშეკრულება გაფორმდა.

უწყების ინფორმაციით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იასონ ჭუმბურიძემ გულგრილად და არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, რაც გამოიხატა იმაში, რომ არ შეამოწმა შესრულებული სამუშაოების ნამდვილობა და ხარისხი, რითაც ხელი შეუწყო უჩა ღვინჯილიას მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას და 423 465 ლარის მითვისებას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მიმდინარეობს.

ზემო აჭარაში ყინვამ აყვავებული ხეხილი გაანადგურა

როგორც ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში მცხოვრებლებმა განაცხადეს, წელს მათ კაკალი, ტყემალი, ალუბალი, ატამი და ვაშლი არ ექნებათ, რადგან ძლიერმა ყინვამ ყვავილობაში მყოფი ხეხილი გაანადგურა.

როგორც ხულოს გამგებელმა ბესიკ ბაუჩაძემ აღნიშნა, მოყინულია გზებიც, თუმცა, ორხიდიან ავტომობილებს გადაადგილების დროს პრობლემები არ ექმნებათ.

მისივე თქმით სოფლებში, სადაც დიდი თოვლი იყო, ტექნიკა მუშაობდა და გზები გაწმენდილია.

გამგებლის თქმით, მცირე მეწყერია სოფელ ოქრუაშვილების მიმართულებით.

ამასთან, როგორც ქედის გამგებელმა დავით ზუმბაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მუნიციპალიტეტს ელექტროენერგია მიეწოდება.

როგორც გზების დეპარტამენტის დირექტორმა ზურა სიხარულიძემ აღნიშნა, საგზაო დეპარტამენტის თანამშრომლები ცენტრალური მაგისტრალის წესრიგში მოსაყვანად სამუშაოებს აწარმოებენ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ტუვალუმ გადაიფიქრა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარება

ვანუატუს კუნძულოვანი სახელმწიფოს კვალდაკვალ წყნარი ოკეანის მეორე სახელმწიფომ — ტუვალუმ გადაიფიქრა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. ტუვალუს მთავრობის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს 31 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ და ტუვალუს გარემობუნების დაცვის, საგარეო საქმეთა, შრომისა და ვაჭრობის მინისტრმა ტაუკელინა ფინიკასომ ხელი მოაწერეს დოკუმენტს ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ.

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ტუვალუ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი რეგიონების — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით". აღსანიშნავია, რომ ტუვალუ იყო ერთ-ერთი იმ ექვსი სახელმწიფოდან, რომლებმაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღიარეს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. დღეისთვის იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აღიარებენ საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობას, შემცირდა ოთხამდე. ესენი არიან რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ.

იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც აღიარებდნენ ქართული რეგიონების დამოუკიდებლობას, ოთხამდე შემცირდა

შეგახსენებთ, რომ ტუვალუს ხელმძღვანელობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ პოზიციას ცვლის უკვე მეორედ. მაგალითად, 2011 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, ტუვალუმ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ შემდეგ, იმავე წლის სექტემბერში უკან გაიწვია ეს გადაწყვეტილება. შედეგად, 2012 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით დიპლომატიური ურთიერთობანი ქვეყნებს შორის გაწყდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში, რომელიც გავრცელდა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაფორმებასთან დაკავშირებით, გამოთქმულია იმედი, რომ გადაწყვეტილების გადასინჯვა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით ტუვალუს ხელმძღვანელობის მიერ გახდება „მაგალითი იმ ზოგიერთი სახელმწიფოსთვის, რომლებმაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით აღიარეს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა".

კუნძულოვანი სახელმწიფო ტუვალუ, რომლის მოსახლეობაც 12177 კაცს შეადგენს, პოლინეზიაში მდებარეობს. ტუვალუს ხმელეთის საერთო ფართობი 26 კილომეტრია, ზღვისპირა ზოლის სიგრძე კი — 21 კილომეტრი.

წარმატებები და ჩავარდნები

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დამფუძნებელი და სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ, მიუხედავად „აქტივობის დაქვეითებისა" ზოგიერთი მიმართულებით საგარეო პოლიტიკაში, ამჟამინდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო „საკმაოდ წარმატებულად" აგრძელებს ოკუპირებული რეგიონების უღიარებლობის პოლიტიკას, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაიწყო. ამასთან დაკავშირებით კაპანაძემ შეგვახსენა, რომ ვანუატუმაც გაიწვია გადაწყვეტილება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის დროს.

ამავე დროს, ექსპერტმა „ამერიკის ხმის" რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ, წინა მთავრობისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე უღიარებლობის პოლიტიკის განხორციელების „მთელი ტვირთი" ეკისრება ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ უწყებას, ვინაიდან, მისი სიტყვებით, საქართველოს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი, დეკლარირებული მისწრაფების ფონზე მოაწესრიგონ ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან, საერთაშორისო ფორუმებზე „ავლენენ არასაკმარის აქტიურობას" ამ საკითხში.

„მაგალითად, რუსეთის როლის შეფასება უკრაინის კრიზისში ამჟამინდელი პრეზიდენტისა და პრემიერის მხრიდან იყო იმ დონეზე, რასაც ელოდებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობიდან, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ასევე წინა წლებთან შედარებით საქართველოს ოკუპაციის თემამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ გაზრდილა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აღიარებენ, რომ საქართველო ოკუპირებულია რუსეთის მიერ", — განმარტა სერგი კაპანაძემ.

„უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი"

„ამერიკის ხმის" რუსეთის სამსახურისთვის მიცემულ კომენტარებში კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარემ გია ნოდიამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად მოვლენათა განვითარების პოზიტიურობისა ტუვალუსა და ვანუატუსთან დაკავშირებით, ეს საკითხი არ არის საკვანძო მმართველი კოალიციის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შეფასებისთვის.

პოლიტოლოგის თანახმად, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საგარეო ხაზის განსაზღვრისთვის უფრო მნიშვნელოვანი მომენტია ის, თუ რამდენად თანმიმდევრულია იგი თავის რიტორიკაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით: „ხელისუფლება თითქმის არ იყენებს სიტყვას „ოკუპაცია". შეიძლება იგი უბრალოდ არ მიიჩნევს საჭიროდ ხაზგასმით აღნიშნოს საქართველოს ამ რეგიონების სტატუსი. ასევე ისინი უფრო ნაკლებად აქტიურად სვამენ ოკუპაციის პრობლემას დიდ საერთაშორისო ფორუმებზე, ესე იგი, ნაკლებ ძალისხმევას იყენებენ რუსეთისთვის დისკომფორტის შესაქმნელად ამ საკითხში. ეს კი გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტორია მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობისთვის, ვიდრე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება ან უღიარებლობა ისეთი ქვეყნების მიერ, როგორებიცაა ვანუატუ და ტუვალუ".

Voice of America

დედამიწის ზურგზე

უკრაინის პარლამენტმა მიიღო დადგენილება „მემარჯვენე სექტორის" მებრძოლთა დაუყოვნებლივი განიარაღების შესახებ. ოპერაცია უნდა განახორციელონ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და უშიშროების საბჭომ

უკრაინის უმაღლეს რადაში წინა დღით კიევის ცენტრში „მემარჯვენე სექტორის" მებრძოლებსა და თვითდაცვის ძალებს შორის სროლების ინციდენტთან დაკავშირებით შეიტანეს დადგენილება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაუყოვნებლივი განიარაღების შესახებ.

ნატოს სურს, შექმნას სამხედრო ბაზები აღმოსავლეთ ევროპაში პარტნიორების მხარდასაჭერად, რომლებიც შეშფოთებული არიან ყირიმის გამო

ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელთა თათბირზე განიხილავენ მოქმედების სხვადასხვა ვარიანტს ყირიმის „ანექსიასთან" დაკავშირებით — მრავალნაირი სამხედრო სწავლებისა და სამხედრო კონტინგენტის გაძლიერებიდან დაწყებული აღმოსავლეთი ევროპის რეგიონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თვით მუდმივი სამხედრო ბაზების შექმნამდე. განიხილავენ, აგრეთვე, თანამშრომლობას რუსეთის ფედერაციასთან.

უკრაინელებმა მონახეს კრიზისიდან გამოსავალი: ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებულ პროდუქტებს ჰყიდიან ინტერნეტის მეშვეობით

უკრაინის ახალი ხელისუფლება სთხოვდა ამერიკელ მოკავშირეებს ავიაციის საწვავს, იარაღსა და საბრძოლო მასალებს, მოწყობილობას დაზვერვისთვის, სანაცვლოდ კი მიიღეს 330 ათასი მშრალი პროდუქტი. ახლა ეს პროდუქტები შეიძლება იყიდო ინტერნეტის მეშვეობით ცალი 9 დოლარად. გადახდა საჭიროა „პრივატბანკის" მეშვეობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა 24 კაცის დაღუპვა ზვავის დროს, 22 უგზო-უკვლოდაა დაკარგული

საძიებო ოპერაცია გართულებულია იმით, რომ თიხის ფენების ქვეშ არის გაზის ბალონები და საწყობები ქიმიკატებით, რომლებიც ჯერ უნდა გაუვნებელდეს. ხალხისა და სახიფათო ნივთიერებათა ძებნაში სპეციალისტებს სასამსახურო ძაღლები ეხმარებიან. ძნელად მისადგომ ადგილებში, სადაც შეინიშნება ქანების მოძრაობა, მაშველები ჩადიან შვეულმფრენების დახმარებით.

დაბალზამებული ბელადის ცხოვრება

ამხოლოდ ამის შემდეგ დავაში ძერჟინსკი ჩაერია და წინადადება წამოაყენა საქმეში თანამედროვე მეცნიერების ჩართვის აუცილებლობის შესახებ.

27 იანვარს ვ. ლენინი დაკრძალეს, ანუ მავზოლეუმში მოათავსეს. ხელისუფლება კი მუმიფიცირების ყველაზე ნაღდი მეთოდის ძიებას შეუდგა.

1924 წლის 4 თებერვალს ინჟინერმა კრასინმა წინადადება წამოაყენა, გამოეყენებინათ დაბალი ტემპერატურების მეთოდი. ამ პროექტით სარკოფაგში უნდა შესულიყო გაციებული ჰაერი სამაცივრო საკნიდან. მალე იდეა დაიწუნეს – მოსკოვში ელექტროენერგია ხშირად ითიშებოდა.

ამასობაში კი გვამმა ხრწნა დაიწყო.

მდგომარეობა საშიში ხდება, – წერს ილია ზბარსკი, ბორის ზბარსკის შვილი და ასისტენტი, თავისი წიგნში „ობიექტი №1“, – მეცნიერთა კომისიამ, რომელმაც 1924 წლის 20 მარტს დაათვალიერა სხეული, აღნიშნა, რომ ყურის ნიჟარები დანაოჭებულია, გვამს მიწის ფერი ადევს, უპეები ჩაცვენილია, ტუჩები გამოშრა და ერთმანეთს 2-3 მილიმეტრით დაცილდა, თხემზე და შუბლის ბორცვზე გამოჩნდა პერგამენტული და მუქი ლაქები... თვალსაჩინოა სიკვდილისშემდგომი ხრწნა და სხეულის ნაწილების გამოშრობა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლენინის სხეულმა, რომელიც, ამავე დროს, იანვარში არაერთგზის გაყინეს და გაალღვეს, ლპობა დაიწყო.

1924 წლის თებერვალში ამ პროცესმა უმაღლეს სტადიას მიაღწია.

26 თებერვალს შეიქმნა სპეციალური კომისია ლენინის ცხედრის მეთვალყურეობისთვის.

სწორედ 26 მარტს ცხედარი გადასცეს მეცნიერთა ჯგუფს ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორის ვლადიმერ ვორობიოვისა და მოსკოველი ბიოქიმიკოსის ბორის ზბარსკის ხელმძღვანელობით, რათა მეცნიერებს სახლიდან მავზოლეუმამდე გზაში დრო არ ეხარჯათ, წითელ მოედანზე სახელდახელოდ აგებულ მიწისქვეშა ლაბორატორიასთან ლიანდაგი დააგეს და სასტუმროდ გადაკეთებული ტრამვაის ხაზი გაიყვანეს.

გაწეული სამუშაოები სრულად ცნობილი არ არის, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ძირითადი ტექნიკური იდეა ბორის ზბარსკის ეკუთვნოდა. საერთოდ იმ დროს, მით უფრო რუსეთში, ბუნდოვნად, ფრაგმენტულად იცოდნენ ძველეგვიპტური მუმიების შესახებ. ეს სრულიად ახალი რამ იყო.

დროებით მავზოლეუმში ყოველდღიურად სამნი ჩადიოდნენ: პათოლოგანატომი ვ. ვორობიოვი, ბიოქიმიკოსი ბ. ზბარსკი და ანატომიური თეატრის პროზექტორი სატანური გვარით ა. შაბადაში (ვორობიოვმა და შაბადაშმა ძირითადად მხოლოდ ანატომიური სამუშაოები შეასრულეს), სხვათა შესვლა უსასტიკესად იყო აკრძალული.

სხეული გაკვეთეს მუშამბაგადაფარებულ ორ მაგიდაზე.

„ხანგრძლივი ვადით დაბალზამება, ანუ მუმიფიცირება დაიწყეს მთელი სხეულის გულმოდგინე განბანვით ძმრის მჟავითა და წყალბადის ზეჟანგით გაჯერებული წყლით, – წერს ი. ზბარსკი, – ცხედარს ამოუღეს ფილტვები, ღვიძლი, გამოურეცხეს გულმკერდის ღრმული. მთელი სხეული წვრილად დაუსერეს, რათა ბალზამს კარგად გაეჟღინთა, შემდეგ ჩადეს გლიცერინის, კალიუმის აცეტატის, წყლისა და ქლორქინინის ნაერთით სავსე აბაზანაში.

აქვე სათქმელად: ლენინის ტვინის ერთი ნახევარი ჯერ კიდევ სიცოცხლეში ვაშლის სიდიდემდე ატროფირდა, გაკვეთის დროს ტვინი ხრაშუნობდა (სისხლძარღვების ჩაკირვა).

პრეპარატების კომბინირებით და ტექნიკის გზადაგზა დახვეწით, ჯგუფმა ბუნება დაამარცხა – ხრწნა შეჩერდა, ქსოვილები რბილი და ელასტიკური გახდა. აპრილის ბოლოსთვის მოხერხდა თვალის პროთეზების ჩასმა, რათა უპეები არ ჩავარდნილიყო, ქუთუთოებისა და ტუჩების აკურატულად ამოკერვა, რათა მათი ერთმანეთისგან დაცილება აღკვეთილიყო.

ასე იქმნებოდა ღმერთი

მაისისთვის ცხედარი მშვენივრად გამოიყურებოდა. ბ. ზბარსკიმ და ვ. ვორობიოვმა გვამის „განორჩება“ შეძლეს. 26 მაისისთვის ყველაფერი დასრულდა. კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის დელეგატებმა მავზოლიუმი მოინახულეს და ერთობ კმაყოფილი დარჩნენ. ლენინის ძმა დიმიტრი ულიანოვი, რომელმაც მოგვიანებით სიცოცხლე საგიჟეთში დაასრულა, აღრთოვანებული იყო: „მე ის ასეთი ვნახე სიკვდილის დროს!“.

ჯანდაცვის სახკომმა ნ. სემაშკომ გამოაცხადა სამთავრობო კომისიის აქტი, რომელიც დრაკულაზე ან ფრანკენშტაინზე ჰოლივუდური ფილმისთვის გამოდგებოდა: „საერთო შესახედაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იმასთან შედარებით, რაც იყო დაბალზამების წინ და მნიშვნელოვნად უახლოვდება ახალგარდაცვლილის შესახედაობას“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყოვლად გაუგებარი მიზეზით ლენინის ავადმყოფობის ისტორიიდან გაქრა სისხლის ყველა მრავალრიცხოვანი ანალიზი.

პირველ მავზოლეუმს სამსაფეხურიანი პირამიდით დაგვირგვინებული კუბის ფორმა ჰქონდა. იგი იმავე 1924 წლის გაზაფხულამდე იდგა, შემდეგ კი შჩუსევისვე პროექტით აგებულმა მეორე დროებითმა, ასევე ხის მაზოლეუმმა შეცვალა. მას პირველისგან განსხვავებით ორივე მხრიდან ტრიბუნები მიუშენდა.

მავზოლეუმი №2 1924 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა საზეიმოდ – მუმიასთან დამთვალიერებლები დაუშვეს. მაგრამ მალე შეშფოთების ახალი საბაბი გაჩნდა. მავზოლეუმის ხის კედლებზე იოლად სახლდებოდა სოკო და სერიოზულად ემუქრებოდა განადგურებით ლენინის სხეულს. ხის სარკოფაგის „დაჯდომის“ გამო მინის სახურავი იბზარებოდა. დიდი წვალებით, როგორც იქნა, სოკო დაამარცხეს. სარკოფაგი გამოცვალეს: არსებული ტექნიკურად რთულად მიიჩნიეს და არქიტექტორმა კ. მელნიკოვმა ერთ თვეში დაამუშავა და რვა ვარიანტი წარადგინა. შერჩეული სარკოფაგი მავზოლეუმში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იდგა.

ხის მეორე მავზოლეუმის ლაკონიური ფორმები შჩუსევმა მესამე, დღეს არსებულ ვარიანტში გამოიყენა, რომელიც 1929-1930 წლებში რკინა-ბეტონისა და აგურის კედლებით აიგო. მოპირკეთდა გრანიტით, მარმარილოთი, ლაბრადორითა და კვარციტით. შენობის შიგნით არის 100 კვადრატული მეტრი სამგლოვიარო დარბაზი. გაიხსნა 1930 წელს.

ომის წლებში მუმია ციმბირში გახიზნეს. ხის ყუთში შეფუთული ლენინი და მისი ცალკე შენახული გული, ტვინის პრეპარატები და სხეულიდან ამოღებული ტყვია სახკომსაბჭოს დადგენილებით, კრემლის სპეციალური დანიშნულების პოლკის 5 ოფიცრისა და 15 ჯარისკაცის დაცვით, 1941 წლის 4 ივლისს საიდუმლო „მივლინებაში“ გაგზავნეს ტიუმენში. გააყოლეს, აგრეთვე, ორი მინის აბაზანა, რეაქტივები და ლაბორატორიის სპეციალური სამკაციანი ჯგუფი. ტიუმენში ლენინი „დააბინავეს“ სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მთავარი კორპუსის მე-5 აუდიტორიაში. მისთვის აუცილებელი რეაქტივები სალიტერო მატარებლებით, ხანდახან კი სამხედრო თვითმფრინავებით ჩაჰქონდათ.

1945 წლის მარტში ლენინის მუმიის ტიუმენიდან დაბრუნების შემდეგ, მინის სარკოფაგის ბედი გამოცანად იქცა – გაქრა (იმ სარკოფაგში ესვენა ლენინი ხის მეორე და შემდეგ ქვის მავზოლეუმებში). 1945 წელსვე ალექსი ა. შჩუსევმა და მოქანდაკე ბორის იაკოვლევმა ახალი კუბო შექმნეს, რომელიც მავზოლეუმში 1973 წლამდე იმყოფებოდა, როცა ბელადის ნეშტი ახალ, ტყვიაგაუმტარ სარკოფაგში მოათავსეს.

1993 წლის ოქტომბრამდე მავზოლეუმთან იყო №1 საპატიო ყარაულის პოსტი, რომელიც ყოველ საათში იცვლებოდა კრემლის კურანტების სიგნალზე. 1993 წლის ოქტომბერში, კონსტიტუციური კრიზისის დროს, №1 პოსტი გაუქმდა, 1997 წლის 12 დეკემბრიდან პოსტი აღდგა, ოღონდ უკვე უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

2012 წლის შემოდგომაზე მავზოლეუმი დაიხურა რეკონსტრუქციის გამო. გაამაგრეს შენობის საძირკველი, ოღონდ სამუშაოები შიგა მოცულობას არ შეხებია. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია მავზოლეუმის უკანა მინაშენის დანგრევა – ადრე იქ ექსკალატორი იყო პარტიისა და მთავრობის მიხრწნილ ხელმძღვანელთა ზევით ასაყვანად. ბოლო დროს ექსკალატორი აღარ გამოიყენებოდა.

როგორც ვთქვით, ხის პირველ მავზოლეუმს ტრიბუნები არ ჰქონდა. მისი საჭიროება დამთვალიერებელთა დიდმა რაოდენობამ და სამგლოვიარო სიტყვების წარმოსათქმელად „ფრონტის“ მიცემის საჭიროებამ წარმოშვა. შემდგომში მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიოდნენ პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის წევრები, მხედართმთავრები, აგრეთვე, წითელ მოედანზე სხვადასხვა საზეიმო დღის (უპირველეს ყოვლისა, 1 მაისისა და 7 ნოემბრის, 1965 წლიდან კი 9 მაისის დღესასწაულები) უცხოელი საპატიო სტუმრები. იქ სპეციალური ადგილიც კი იყო, სადაც ტრიბუნაზე მყოფნი დროდადრო... თითქოს ჭიქის გადასაყლურწად და წასახემსებლად შედიოდნენ. ოფიციალური ღონისძიებების დროს მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადამიანების მდებარეობის მიხედვით დასავლელი კრემლენოლოგები დასკვნებს აკეთებდნენ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროში გარკვეული პირების გავლენის ჩანაცვლების შესახებ და სამომავლო პროგნოზებს წინასწარმეტყველებდნენ.

ამჟამად მავზოლეუმი მნახველთათვის ღიაა ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს 10-დან 13 საათამდე. მავზოლეუმში და კრემლის კედელთან არსებულ საფლავებთან ხალხის შეშვება ხდება მიკოლსკის კოშკთან არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან, სადაც ადამიანებს ლითონდეტექტორით ამოწმებენ.

1939 **წლის** ბოლოს სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში მავზოლეუმთან შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია ლენინის სხეულის შენახვასთან დაკავშირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. სარკოფაგისა და სხეულის ტემპერატურისა და ატმოსფეროს ტენიანობა, გამჟღინთავი სითხის შემადგენლობა, პროფილაქტიკური ღონისძიებები, კანის ფერი, სახისა და ხელის მტევნების რელიეფური ფოტორეგისტრაცია, ქსოვილების რღვევის პროცესის კვლევა – აი, პრობლემათა არასრული სია, რომლებსაც ეს ლაბორატორია სწავლობს. ვ. ვორობიოვისა და ბ. ზბარსკის (ძირითადად ამ უკანასკნელის) მიერ დამუშავებული „მაბალზამებელი სითხე“ იხმარება დღესაც. მასში ლენინის ნეშტს ათავსებენ ყოველ 18 თვეში, აგერ უკვე 90 წელიწადია. ამ მიღწევისთვის ისინი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები გახდნენ.

ალეკო ასლანიშვილი.

(დასასრული იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 66

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა მუღანლოს (კირან-მუღანლოს) მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამზე „ლეკზადინის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია – B+C₂, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 546 300 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა მუღანლოს (კირან-მუღანლოს) მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	73 251 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	7 325,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი სანაცვლო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	14 850 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოდეს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ბ) ობიექტის დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს ქვედანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმები. გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია, „რუსთავის" (I და II უბანი) კოგენერაციის (ნაშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 450 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი სანაცვლო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს
	სარგებლობისათვის	სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამბროვკის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ალგეთის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია – C1+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 1 791 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამბროვკის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	240 148 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	24 014,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი სანაცვლო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	48 230 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვედანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი მარაბდის მიმდებარე ტერიტორია, „ახალი მარაბდის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 105 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი მარაბდის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	14 173 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 417,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი სანაცვლო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 035 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მინისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეკვეთოს, აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საქაღალდის შემოხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარეკისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილი ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მინისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ ფიზიკურად უკანონო (არასანქცირებული) ჩარეკისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მინისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს პქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და მისაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი

		პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპიტალება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით განსორციელოს ობიექტის (ჭა) მუმოლობა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ხაშურში, აღმაშენებლის ქ. №43-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმოო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ხაშურში, აღმაშენებლის ქ. №43
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	224 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. კაბალზე „კაბალის" ქვიშა, ხრეშის გამოღლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 300 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	8 085 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	808,5 ლარი
10	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 817 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „გომი II"-ის ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 1 074 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	144 089 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	14 408,9 ლარი
10	უპირობო და გამოუსმობი	29 018 ლარი

	საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №8		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყალზე „მუხურის" ქვიშა, ხრეშის გამოღლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 42 900 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 530 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	653 ლარი
10	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 506 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №9		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმები. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია, „ქარიანის" ვულკანური ფერფლის (ხაშენი მასალა) საბადო (კატეგორია - C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	9 527 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	952,7 ლარი
10	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 105 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35

3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დააინსტალიროს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითშედინი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით განახორციელოს ობიექტის (ჭა) შემოღობვა და ტერიტორიის დასუფთავება თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაქალაქევის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 800 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაქალაქევის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	8 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	0,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	202 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №11		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს კომპანია ბი-პი-სთან წინასწარ შეთანხმებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის შესაბამისად, სადაც განსაზღვრული იქნება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მეთოდი და პარამეტრები, გეოლოგიური კვლევების მედეგები და სამუშაოების პროცესში გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებები; დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორია, „გამარჯვების" (ოთხი უბანი) თიხა-თაბაშირის (გაჯი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 39 256 ტ.).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №12		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მჭკვარზე „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 273 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	36 686 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 668,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 537 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №13		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მჭკვარზე „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 273 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	36 686 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 668,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 537 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №14		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. აბაშის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 91 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 269 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 226,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისაზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 654 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №15

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;
		გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქვლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და მესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპიტაჟება; ზ) სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით საჭიროა ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავება; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგისწმინდა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 30 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგისწმინდა
8	აუქციონის საწყისი ფასი	970 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	9,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისაზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	394 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №16

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; ბ) ობიექტის დამუშავება განხორციელდეს მაღალი ბიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლეს მიმდებარე ტერიტორია, „თეძამის" ცეოლითშემცველი ტუფების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 300 ტ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისაზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №17

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
	ლიცენზიის სახე	
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; ბ) ობიექტის დამუშავებისას დაცული უნდა იქნას ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესები და ნორმები. გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა მეუნდოდეს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს კომპანია ბი-პი-სთან წინასწარ შეთანხმებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის შესაბამისად, სადაც განსაზღვრული იქნება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მეთოდი და პარამეტრები, გეოლოგიური კვლევების შედეგები და სამუშაოების პროცესში გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებები; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბურნაშეთის მიმდებარე ტერიტორია, „ბურნაშეთის" ეფელკანური ქვიშის (I და II უბანი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 78 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბურნაშეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 459 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 045,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისაზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 292 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 მაისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ფეხბურთი

ტაბიძე მადრიდის „რეალში“ ისინჯება

საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ მარცხენა მცველი ჯემალ ტაბიძე 10 დღის განმავლობაში მადრიდის „რეალში“ სინჯებს გაივლის. ამის შესახებ „საბურთალოს“ პრესატაშემ კახა მგელაძემ განაცხადა.

ტაბიძე ესპანეთში კვირას გაემგზავრა, ხოლო ორშაბათს „რეალის“ 19-წლამდელთა გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა.

დაახლოებით ორი თვის წინათ „საბურთალოს“ პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი სამუშაო ვიზიტით ესპანეთს სტუმრობდა. სწორედ მაშინ შეხვდა „რეალის“ ერთ-ერთ სკაუტს, რომელმაც ტაბიძის საქმეში ნახვის სურვილი გამოთქვა. ხეჩიკაშვილის თქმით, არაა გამორიცხული 18 წლის ფეხბურთელს მადრიდელებმა კონტრაქტი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ გაუფორმონ. მან აღნიშნა, რომ ტაბიძით რუსული, გერმანული და „რეალის“ გარდა სხვა ესპანური კლუბებიც არიან დაინტერესებული.

შეგახსენებთ, რომ ახლახან ტაბიძე „ლივერპულში“ იმყოფებოდა სტაჟირებაზე.

გეჟან დოლიძე

ბენიტესი: მოურინიუს ბოლო 3 წლის განმავლობაში ევროტურნირებზე არაფრისთვის მიუღწევია

„ნაპოლის“ ესპანელმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა „ჩელსის“ პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მოურინიუ გააკრიტიკა — უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე შედეგს აღწევსო.

„მოურინიუ ბევრს ლაპარაკობს საკამათო თემებზე, მე კი ფაქტების მოყვანა შემიძლია. ჩემმა გაწვრთნილმა „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან გამოთიშა ჟოზეს „ჩელსი“. მაშინდელი „ჩელსის“ ფეხბურთელები „ლივერპულის“ მოთამაშეებზე ორჯერ ძვირად ფასობდნენ.

...მოურინიუმ ვერც „ჩელსიში“ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება და ვერც ძალიან ძლიერ „რეალში“. ბოლო 3 წლის განმავლობაში მას ევროტურნირებზე არაფრისთვის მიუღწევია. შესაძლოა, ჟოზემ „ჩელსი“ მაშინ ააშენოს, თუ აზარსა და ოსკარს ჯამში 360 მილიონ ევროდ გაყიდიან“.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ტატიშვილმა 104-ე ადგილზე გადაინაცვლა

ძალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში საქართველოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა მცირე წინსვლა განიცადა და 609 ქულით 109-დან 104-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ტატიშვილის გარდა, მსოფლიო კლასიფიკაციაში 7 ქართველი გოგონაა: 217 (225). სოფო შაფათავა — 268; 313 (315). ოქსანა კალაშნიკოვა — 143; 378 (382). ეკატერინე გორგოძე — 108; 453 (451). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი — 81; 640 (646). სოფო ქვაცაბაია — 41; 1194 (1197). მარიამ ბოლქვაძე — 5; 1243 (1247). თამარ ჭალაგანიძე — 3;

მიმდინარე კვირაში სოფო შაფათავა კოლუმბიის ქალაქ მედელინში იმყოფება და 50-ათასიან ტურნირში ძირითად ბადეშია დაშვებული. საწყის რაუნდში სოფო ძალებს კანადელ ფრანსუა აბანდასთან მოსინჯავს. წყვილებში მე-2 განთესვის მქონე შაფათავა და რუსი მარინა მელნიკოვა იმავე აბანდას და ამერიკელ დანიელა მორენოკასტეს გაეჯიბრებიან.

საფრანგეთში, დიჟონის 15-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულ კინი ლაინეს (საფრანგეთი) დაუპირისპირდება მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი. წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი არ ითამაშებს.

ტრადიციულად, ანტალიის 10-ათასიან ტურნირზე იასპარეზებენ ეკატერინე გორგოძე და სოფო ქვაცაბაია. მე-3 ნომრად განთესილი გორგოძე გერმანელი ლინდა პრენკოვიჩის დამარცხებას ეცდება, ხოლო ქვაცაბაიას მეტოქე პირველი განთესვის მქონე რუსი იულია კალაბინა იქნება.

ანტალიაშივე რჩება ვაჟთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეშია დაშვებული და სავარაუდოდ, პირველი განთესვა ექნება. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში ბასილაშვილს 145 ქულით 310-ე ადგილი უკავია.

ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა მოახერხა გიორგი ჯავახიშვილმა. მე-5 ნომრად განთესილმა ქართველმა უზბეკებს — სარდორ პულატოვს და ოდილ აკრამოვს, შესაბამისად, 6:1, 6:2 და 6:4, 6:1 სძლია. ჯავახიშვილის შემდეგი მეტოქე რუსი ფიოდორ ჩერვიაკოვია.

საკვალიფიკაციო ბადე ვერ დაძლია გიორგი ცივაძემ, რომელსაც მე-9 რეიტინგი გააჩნდა. მან ყაზახი ადილ ელტაევი 6:2, 6:0 დაამარცხა, მე-8 ნომრად მიჩნეულ რუს ალექსანდრ ჩეპელევთან კი 6:7 (2:7), 2:6 წააგო.

ძირითად ბადეში პირდაპირ გახლავთ დაშვებული ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც ძალებს ბელარუს პაველ ფილინთან მოსინჯავს. წყვილებში მეტრეველი და ყაზახი დენის ევსეევი „უაილდ ქარდის“ მქონე უზბეკ პულატოვს და ყაზახ ბეკიმოვს გაეჯიბრებიან.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ მექსიკაში მონტერეის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარი) ცდის ძალებს ოქსანა კალაშნიკოვა.

ჩვენმა ჩოგბურთელმა ერთეულთა თანრიგში კვალიფიკაცია ვერ დაძლია, წყვილებში კი კანადელ გაბრიელა დაბროვსკასთან ერთად მე-2 ნომრად არის განთესილი და მერვედფინალში „უაილდ ქარდის“ მქონე მექსიკელებს — ალეხანდრა სისნეროსს და კამილა ფუენტესს ეთამაშება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ვიშვანათან ანანდი ტიტულის დასაბრუნებლად იბრძოლებს

ჭადრაკში პრეტენდენტთა ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, რომელსაც ქალაქი ხანტი მანსიისკი (რუსეთი) მასპინძლობს, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმა (ინდოეთი) ქულა დააგროვა, მდევართა ხუთკაციან (მამედიაროვი, კარიაკინი, არონიანი, ანდრეიკინი, კრამკინი) ჯგუფს 1,5 ქულით გაუსწრო, პირველი ადგილი ვადაზე ადრე გაინაღდა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად მოქმედ ჩემპიონ მაგნუს კარლსენთან (ნორვეგია) შეხვედრის უფლება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ანანდს ჩემპიონის ტიტული სწორედ კარლსენმა ჩამოართვა. ასე რომ, პრეტენდენტთა ტურნირის მოგების შემდეგ ანანდს რევანშის აღების კარგი შანსი ეძლევა.

კობა კობახიძე

◎ ავტოსპორტი

ალონსომ იცის, რაში მოისუსტებს მისი „ფერარი“

ფერნანდო ალონსო ამბობს, რომ იცის, რა უნდა გაუმჯობესდეს მის „ფერარიზე“, რათა მოწინააღმდეგეებთან ჩამორჩენა აღმოიფხვრას. ესპანელმა მალაიზიურ სეპანგზე რბოლა მეოთხე ადგილზე დაასრულა და რბოლას კოშმარი უწოდა. მისი თქმით, მოსახვევებიდან გამოსვლისას მანქანას ჩაჭიდება აკლდა. გარდა ამისა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის აზრით, მის ავტომობილს არც საკმარისი სიჩქარე აქვს.

„ჩაჭიდება არც ისე კარგი იყო. მოსახვევიდან გამოსვლისას მართვა შეუძლებელი გახლდათ. ჩემი მანქანის ჩაჭიდება „რედ ბულისასთან“, რომელიც ამ მხრივ საუკეთესოა, ახლოსაც ვერ მივა. თუმცა, ეს დეფიციტი მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო. რაც შეეხება სიჩქარეს, საიდუმლო არაა, რომ „მერსედესს“ ვერც შევედრებით. ისინი უსწრაფესები იყვნენ ავსტრალიაში, ბაჰრეინის ტესტებზე და აქ. მოკლედ, სამუშაო დაგვიგროვდა. ბაჰრეინის რბოლამდე ვეღარაფერს მოვასწრებთ, რადგან დრო აღარ გვაქვს, მაგრამ ჩინეთისა და ესპანეთისთვის რაღაცის გაკეთება შეიძლება. აშკარაა, რაც გასაკეთებელია და როგორმე ეს უნდა შევძლოთ“, — ამბობს ალონსო.

ალონსოს პირველ ორ რბოლაში ნიკო ჰულკენბერგთან და „ფორს ინდიასთან“ უწევდა პაექრობა. არადა, ის და „ფერარი“ უმაღლესი ადგილებისთვის იბრძვიან. ესპანელი დარწმუნებულა, რომ მის გუნდს შესწევს მდგომარეობის გამოსწორების უნარი და მოელის, რომ საჩემპიონო ბატალიებს დაუბრუნდება.

„რა თქმა უნდა, ჩემპიონატი საუკეთესოდ არ დაგვიწყია, მაგრამ გუნდი უზარმაზარ სამუშაოს ატარებს იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. პირადად მე პირველობისთვის ბრძოლას ვისურვებდი, მაგრამ ის ფაქტი, რომ თანაგუნდელზე წინ ხარ, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ იმაზე მეტს აკეთებ, ვიდრე შენგან ელიან. ლაპარაკი არ უნდა, რომ საქმეს გამოვასწორებთ. ჯერ მხოლოდ ორი რბოლა ჩატარდა. ახლა დაწვრილებით ვაანალიზებთ ჩვენი მანქანის მუშაობას და განვსაზღვრავთ, თუ რა გვაქვს გასაუმჯობესებელი“, — დასძენს ალონსო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ქართულ-ფრანგულ-უკრაინული მშვენიერება

სანამ უცხოელ სპორტსმენებზე და მათ სატრფოებზე თუ მეუღლეებზე ვწერთ, ამ დროს ხშირად ჩვენებური, ქართული ამბები გამოგვრჩება ხოლმე. მაგალითად, ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ცნობილი ფრანგი ფრენბურთელი ვიქტორია რავა თბილისშია დაბადებული და გაზრდილი.



რავა არა მხოლოდ წარმატებული სპორტსმენია, არამედ მშვენიერი გარეგნობითაც გამოირჩევა. იგი არაერთხელ დაუსახელებიათ საფრანგეთის ულამაზეს სპორტსმენთა შორის და მისი თამამი ფოტოები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ლამაზი სპორტსმენი ქალების მოყვარულთა შორის.

ვიქტორია 1975 წლის 31 ოქტომბერს არის დაბადებული თბილისში. მისი გვარი უკრაინულია, თუმცა რავა თბილისშია გაზრდილი ქართულად და ამჟამადაც ქართულ გარემოში ცხოვრობს — მისი ქმარი ასევე ქართველი ამირან ჯიოშვილია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კვალი დროში

მეცნიერი და მასწავლებელი



გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, შესანიშნავი პედაგოგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **ლევან ჟიჟიაშვილის** დაბადებიდან 80 წელი შესრულდა.

ლ. ჟიჟიაშვილი დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ხორხში. 1951 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა დუშეთში, 1959 წელს კი წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

აკადემიკოსმა ლ.ჟიჟიაშვილმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ანალიზის კლასიკური ასპექტების — ჯერად ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივთა კრებადობისა და შეჯამებადობის პრობლემების, ასევე მრავალგანზომილებიანი შეუღლების ოპერატორისა და ჰილბერტის გარდაქმნის მეტრიკული თვისებების შესწავლაში. მან სტუდენტობისა და ასპირანტურაში სწავლის პერიოდშივე მიიღო ძალზე საინტერესო შედეგები, რომელთა საფუძველზე 1961 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1967 წ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც წამყვანი მათემატიკური წრეების მიერ იმთავითვე აღიარებული იქნა უმნიშვნელოვანეს გამოკვლევად ჯერად ფურიეს მწკრივთა თეორიაში.

აკად. ლ. ჟიჟიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ორი ვრცელი მიმოხილვითი ნაშრომი ჟურნალში „Успехи математических наук“, რამდენიმე მონოგრაფია, რომელთა შორისაა 1996 წელს გამომცემლობა Kluwer-ში დაბეჭდილი მონოგრაფია „Trigonometric Fourier series and there conjugates“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ მრავალგანზომილებიანი ფურიეს ანალიზის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ბატონმა ლევანმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მასწავლებელმა და მეცნიერების ორგანიზატორმა: 1968 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თსუ პროფესორი, 1978 წლიდან — კათედრის გამგე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 1977-1982 წლებში იყო თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-მდე საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

ლ. ჟიჟიაშვილი 1974 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს — ნამდვილ წევრად. იგი აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის ცხოვრებაში, მისი ობიექტური, პირუთვნელი, ავტორიტეტული და სამართლიანი სიტყვა არაერთხელ გაისმა აკადემიის თავყრილობებზე ქვეყნისათვის, ქართული მეცნიერებისათვის, მეცნიერებათა აკადემიისათვის უაღრესად რთულ პერიოდში.

სახელოვანი მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად და დაბადებიდან მე-80 წლისთავთან დაკავშირებით რუსთაველი — სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2013 წლის 23-28 ოქტომბერს ბაზალეთის კომპლექსში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ფურიეს ანალიზი და აპროქსიმაციის თეორია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილმა 40-მდე მეცნიერმა.

ლევან ჟიჟიაშვილი იყო ღრმადმორწმუნე ქრისტიანი და სამშობლოს მხურვალედ მოყვარული. მის კაბინეტში მუდმივად ეკიდა ვაჟას სურათი. მისი ცხოვრებაც, ვაჟას გმირების მსგავსად, ჭეშმარიტების უკომპრომისო ძიებით, სამშობლოსა და მოყვასისადმი უანგარო თავდადებით იყო სავსე.

ბატონი ლევანი ძალიან დააკლდა ქართულ მეცნიერებას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძი მაგალითია ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



მეულლე ლუნა ჩორგოლაშვილი, შვილები ნუგზარ, ზაზა ქობულიები, რძლები მაია ნუცუბიძე, მაია სილაგაძე, შვილიშვილები ანუკი, რეზიკო, გვანცა, მარი, საბა, ძმები აკაკი, ანზორი, სპარტაკი ოჯახებით, შვილთაშვილები ნია, ელენე ქობულიები, ძმისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მძახლები, ცოლისდებისა და ცოლისძმის შვილები ოჯახებით, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ადამიანი

რეზო მიხეილის ძე ქობულია

დაკრძალვა 5 აპრილს, 15 სთ. წყალტუბოში, მაიაკოვსკის ქ. №16.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს მეგობარსა და კოლეგას, გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას ძმის

რეზო ქობულიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი

ლევან მახვილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ სათრეველები ნაცმაცუნა შოუმენისა

სიცილი სიცილზე

შოუბიზნესის მასხარას
მახსოვს, ვინ როდის მასხა რა
და ძალზე კარგად ვიცი, რომ,
როცა ბიძინა ბიძინობს,
რომც ვეღარ შემიხიცინონ,
მოვალე ვარ, რომ ვიცინო!

მტვერი თვალში

სიცილი და ოვაცია
ზუსტად გათვლილ ნოვაციად
უკვე ჩავსვი პატრონაჟში,
რადგან მოსწონს
პატრონს ტაში
და სიცილიც —
ოღონდ მაშინ,
როცა ხალხს მტვერს ვაყრით
თვალში!

ალექსანდრე შენგელია

◎ ინფორმაცია

ამოღებულია დიდი ოდენობით ჰეროინი

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ბორის გ. ნარკოდანაშაულისთვის სამტრედიაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 20 შეკვრად დაფასოებული 5,41 გრ. ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკი 3,6788 გრ. ჰეროინს შეიცავს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

ხსოვნა

რომან ჩოჩია



სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისმა“ დიდი დანაკლისი და მწუხარება განიცადა — ნაადრევად გარდაიცვალა ნიჭიერი, გამოცდილი მუშაკი, ნამდვილი პროფესიონალი, უღალატო მეგობარი და გულისხმიერი თანამშრომელი **რომან ჩოჩია**.

რომან ჩოჩია დაიბადა 1951 წლის 13 მაისს ცხაკაიის რაიონის სოფელ ახალსოფელში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1970 წელს და მისი სახით რაიონს შესანიშნავი კვალიფიციური სპეციალისტი მოევლინა.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ბატონმა რომანმა მუშაობა დაიწყო და სახელოვნად იღვაწა ცხაკაიის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ტექნიკოს-მშენებლად, რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს სპეციალისტად, „საქნავთობაზმშენის“ ქუთაისის, ოჩამჩირისა და სოხუმის სამშენებლო-სარემონტო უბნებში ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტის ინჟინრად.

1985 წლის 25 მარტიდან მუშაობას იწყებს №2 ტრესტის საავტომობილო გზების მშენებლობის, მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანებაში ჯერ მშენებლობის ოსტატად, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად, ხოლო 1986 წლის 1 სექტემბრიდან გადაიყვანეს ტექნიკური განყოფილების ინჟინრის თანამდებობაზე.

ბოლო 28 წლის განმავლობაში ბატონი რომანი გაერთიანების სამართალმემკვიდრის — სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ ტექნიკური განყოფილების უფროსი იყო და თავისი ნიჭიერებით, განათლებითა და შრომისმოყვარეობით წარმატებით ართმევდა თავს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. წლობით დაგროვილ ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას უშურველად უზიარებდა ახალბედა თანამშრომლებს.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ტექნიკური განყოფილების უფროსის, უპატიოსნესი პიროვნებისა და კვალიფიციური სპეციალისტის

რომან ჩოჩიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დემურ და იოსებ გადელიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, უღალატო მეგობარი, სანიმუშო მოქალაქე და მეოჯახე

რომან ჩოჩია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საბურთალოზე მეტროს ხაზი „მაღლივ კორპუსამდე“ გაგრძელდება

თბილისში უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ახალი მეტროსადგურის მშენებლობაზე ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება, — ამის შესახებ განცხადება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ელგუჯა ხოკრიშვილმა გუშინ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ხოკრიშვილის თქმით, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაასრულა მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული სამმხრივი მოლაპარაკებები, რომელსაც ფონდი თბილისის მეტროპოლიტენსა და ესპანურ კომპანია „ევროსტუდიოსთან“ აწარმოებდა.

— მოლაპარაკების დასრულებისა და პროექტის ირგვლივ მიღწეული შეთანხმების დასადასტურებლად, საქართველოში აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენელი ჩამოვიდა. თბილისის მეტროპოლიტენის ახალი სადგურის მშენებლობას სწორედ აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. მხარეებს შორის შეთანხმება საქრათველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აძლევს შესაძლებობას, მეტროსადგურის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადოს. ახალი სადგურის მშენებლობაზე ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება, — განაცხადა ხოკრიშვილმა.

მისივე თქმით, უკვე ორშაბათს სრული პროექტი და სატენდერო პაკეტი მზად იქნება, რომელიც გადაეგზავნება მერიას საბოლოოდ შესათანხმებლად, რის შემდეგაც აზიის განვითარების ბანკის პროექტი კიდევ ერთხელ დამატებით შემოწმებას გაივლის.

ხოკრიშვილის ინფორმაციით, პროექტის ღირებულება კონფიდენციალურია, თუმცა ღირებულება სავარაუდოდ 35-42 მილიონი ევროს ფარგლებში იქნება. პროექტი 2 წელში უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც, ხოკრიშვილის თქმით, ის გადაეცემა მერიის სატრანსპორტო სამსახურს და მერია მიიღებს გადაწყვეტილებას, რა სახელს დაარქმევენ ახალ სადგურს.

◎ იუბილე

ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და ღვაწლმოსილ პიროვნებას, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს **ვახტანგ ბერულავას** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

დიდია ვახტანგ ბერულავას ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობებზე მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ქვეყნის ერთგულების, მაღალპროფესიული, უშურველი, უღალატო საქმიანობისა. განსაკუთრებით დიდია ბატონი ვახტანგის წვლილი აფხაზეთის აღმშენებლობის, განსაკუთრებით, ენერგეტიკის დარგის აღორძინების და განვითარების საქმეში.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლების დროს ვახტანგ ბერულავა ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ქართველთა და აფხაზთა შორის გაჩენილი ბზარის გასამთლიანებლად, ძმათა შორის დაკარგული ნდობის, შელახული საუკუნოვანი თანაცხოვრების აღსადგენად.

ბატონი ვახტანგის — სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მომავლისათვის სამართლიანი და დაუღალავი მებრძოლის მთელი ცხოვრება მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის თვალსაჩინო მაგალითია მომავალი თაობისთვის.

ვულოცავთ ბატონ ვახტანგს ღირსშესანიშნავ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

◎ ტესტი

გაქვთ თვითკონტროლის უნარი?

„თამაშის დროს აზარტში შევიდა“, „ის მეტად აზარტულია“ — ასეთი სიტყვები ყველას მოგვისმენია. მაგრამ ვიცით კი ყველამ, რა არის აზარტი? აზარტი, უცხო სიტყვათა ლექსიკონის თანახმად, ესაა — თავდავიწყებით გატაცება რამეთი (მაგალითად, ფულზე თამაში, ნადირობით და სხვ.). და აზარტი რომ არ გადაიზარდოს მტკივნეულ ვნებაში ჯანმრთელობისთვის საზიანოდ, აუცილებელია საკმარისი სიბრძნე, გონიერება. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, რაც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად აზარტული ნატურა ბრძანდებით.

1. ღებულობთ მონაწილეობას სხვადასგვაგვარ SMS თამაშებში და (ან) ლატარიაში?
ა) დიახ, ხშირად.
ბ) ზოგჯერ, განწყობილების მიხედვით.
გ) არასოდეს.

2. გაქვთ იმპულსური მიდრეკილებანი?
ა) დიახ.
ბ) ასეთი რამ იშვიათად მემართება.
გ) თუ პრინციპულად ვილაპარაკებთ, არა.

3. თუ ხდება ხოლმე ისე, რომ იმდენად გაგიტაცათ რაღაც იდეამ, ყველაფერი გავიწყდებათ ამ ქვეყანაზე?
ა) ამ დონემდე არასოდეს მეუფლება გატაცება.
ბ) დიახ, ხდება ხოლმე.
გ) არა, თუმცა ასეთ შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ.

4. ხშირად თუ ხდება ხოლმე, რომ მკვეთრად გეცვლებოდეთ განწყობილება?
ა) იშვიათად.
ბ) დიახ, ასეთი რამ ხშირად ხდება.
გ) პრაქტიკულად არასოდეს.

5. ყოველთვის ენდობით ინტუიციას?
ა) დიახ, ყოველთვის.
ბ) ყურს ვუგდებ საკუთარ შინაგან ხმას, მაგრამ მას ბრმად არ მივყვები.
გ) ჩემი ზნეობა უფრო მეტად ლოგიკა და გაანგარიშებაა.

6. გიყვართ რისკი?
ა) მირჩევნია, რისკს თავი ავარიდო.
ბ) მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიცი შესაძლო შედეგები და მესმის, რომ რისკი გამართლებულია.
გ) „ვინც რისკზე არ მიდის, ის შამპანურს არა სვამს“.

7. გიტაცებთ კომპიუტერული (მათ შორის, ონლაინ) თამაშები?
ა) მათდამი მშვიდად ვარ.
ბ) ძალიან, შემიძლია ვუმზირო მონიტორს მრავალი საათის განმავლობაში.
გ) სულაც არა.

8. გქონდათ ურთიერთობა „ცალხელა ბანდიტთან“?
ა) არასოდეს და ამნაირი სურვილი არასოდეს მიჩნდება.
ბ) ინტერესის გულისთვის რამდენჯერმე, მეტად არა.
გ) დიახ, არაერთგზის.

9. თუ გითამაშიათ უკანასკნელ კაპიკამდე?
ა) არა, და არც ვფიქრობ, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია.
ბ) დიახ, ასეთი რამ იყო.
გ) არა, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეულ ვითარებაში ამაზე შეიძლება წახვიდე.

10. გაქვთ რაიმე ჰობი?
ა) დიახ, მაქვს.
ბ) იყო, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია.
გ) არა და არც არასოდეს მქონია.

11. მოგწონთ დავებში მონაწილეობა?
ა) დიახ, მიყვარს კამათი.
ბ) ზოგჯერ, თუ დავის საკითხი მაინტერესებს.
გ) არა, ვცდილობ, დავებში არ მივიღო მონაწილეობა.

12. გინდოდათ გეთამაშათ კაზინოში?
ა) უკვე ვითამაშე.
ბ) დიახ, თუ თავისუფალი სახსრები მექნებოდა.
გ) ასეთი სურვილი არა მაქვს.

დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის გამოყენებით

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	1	1	3	2	1	3	2	3	1	3	1	1
ბ	2	2	1	1	2	2	1	2	2	1	2	2
გ	3	3	2	3	3	1	3	1	3	2	3	3

12-19 ქულა. როგორც ჩანს, თქვენ აზარტული ბრძანდებით. მიაჩნიათ, რომ აზარტი — ესაა ისეთი მდგომარეობა, რომ შევდივართ მასში, როდესაც წონასწორობას ვკარგავთ. ეცადეთ, დაიცვათ წონასწორობა და არ ჩავარდეთ უკიდურესობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აიცილებთ თავიდან ნეგატიურ შედეგებს. მაგალითად, თამაშისადმი დამოკიდებულებას, რისგანაც თავის დაღწევა უკიდურესად მძიმეა.

20-28 ქულა. თქვენ ზომიერად აზარტული ხართ. ძნელად, რომ თქვენ გემუქრებოდეთ ბანალური დავა ჩხუბამდე ან წააგოთ წარმოუდგენელი თანხა. მთლიანად თქვენ იცით, თუ როდის უნდა შეჩერდეთ და არ ყოფთ თავს ხაფანგში სისხლში ადრენალინის დონის ამაღლებისთვის.

29-36 ქულა. თქვენ ძალიან აზარტული არ ხართ. ერთი მხრივ — ეს არაა ცუდი, მეორე მხრივ — უაზარტო ცხოვრებაც ხშირად მდარე და მოსაწყენი ხდება. ვოლტერმა თქვა: „ვნებანი — ეს ქარრივითაა, რომლებიც ხომალდის იალქნებს ბერავენ, ზოგჯერ ძირავენ კიდეც მას, მაგრამ უქაროდ ხომალდი ვერ იცურებდა“. გახსოვდეთ, სულისკვეთების ძალა არა ვნებათა არარსებობაშია, არამედ მათი მართვის უნარში.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვახტანგზე

ორ კვირაში გიგი უგულავას დააპატიმრებენ?

როგორც „ალიას“ პროკურატურიდან სანდო წყარომ აცნობა, თბილისის უფლებაშეჩერებულ მერს გიგი უგულავას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, „დედაქალაქის განვითარების ფონდიდან“ 48,18 მილიონი ლარის გაფლანგვის საქმეზე დააპატიმრებენ, თუმცა, მას პროკურატურა კიდევ ორ საქმეს, ე. წ. რიყის ტერიტორიის და ტელეკომპანია „იმედის“ უკანონო გასხვისებას ედავება. როგორც წყარო ამბობს, მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ უგულავასაც გაუგია. სწორედ ამის გამო ყოფილა აგრესიული თავის განცხადებებში და, მეტადრე ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

„ალია“

„ხელისუფლებამ მხედრიონი აღადგინა“

სევდია უგრეხელიძეს ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მხედრიონის პერიოდს ახსენებს.

— შემიძლია მთელ საქართველოს მივულოცო, რომ აღდგა მხედრიონის განსაკუთრებული სისასტიკით თარეშის პერიოდი საქართველოში იმით, რომ თავს დაესხნენ ნუგზარ წიკლაურს.

როგორც სევდია უგრეხელიძე აცხადებს, იმით თავის გამართლება, რომ ვიღაც ნაწყენი იყო წიკლაურზე, არ იქნება გამართლება, რადგან სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ადამიანი დაიცვას ასეთი ენთუზიასტებისგან.

„ახალი თაობა“

დაუბეგრავ მინიმუმს ყველა დასაძმებული მიიღებს

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროგრამაში ცვლილებები შედის. როგორც ცნობილი გახდა, დაუბეგრავ მინიმუმს ის მოქალაქეებიც მიიღებენ, რომელთაც 2013 წელს ხელფასის სახით 6000 ლარზე მეტი აქვთ დარიცხული. მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ შემთხვევაშიც დასაბრუნებელი თანხის მოცულობა 360 ლარი იქნება. აქედან გამომდინარე, დაუბეგრავ მინიმუმს არა მხოლოდ დაბალშემოსავლიანები, არამედ ყველა დასაქმებული მიიღებს.

„რეზონანსი“

◎ ციცხალი ანეკდოტები

— ბაბა, მითხარით, ადამიანის რომელი ორგანო ითვლება სიყვარულის სიმბოლოდ? — ეკითხება პროფესორი სტუდენტ გოგონას ანატომიის გამოცდაზე.

— მამაკაცისა თუ ქალისა, ბატონო პროფესორო?

— ღმერთო ჩემო, — ოხრავს პროფესორი, — ჩემს ახალგაზრდობაში ეს გული იყო...

* * *

— თქვენ ყიდით პიანინოს?

— დიახ, ოღონდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— ისე უნდა გაიტანოთ პიანინო, რომ ჩემმა ცოლმა და ქალიშვილმა ვერ შენიშნონ.

* * *

— აჰ, თქვენ ციმბირიდან ხართ? ამბობენ, რომ თქვენთან დათვები გზებზე დადიან.

— იტყუებიან, ჩვენთან არ არის გზები.

* * *

გაბცხადება: იყიდება ქალის საათები. ერთი საათი — 50 დოლარი.

* * *

— ავადმყოფო, — ეუბნება ექიმი პაციენტს, — უკვე მოგირჩინეთ ფეხი. ერთი საათის შემდეგ წამოდგომას შეძლებთ, ორ საათში — პალატაში სიარულს, სამ საათში — მცირე მანძილზე სირბილს, ოთხ საათში კი სახლისკენ გაქცევასაც მოახერხებთ.

— ექიმო, შეიძლება, რომ უბრალოდ წყნარად ვიწვე?

* * *

— ძვირფასო, ამ კაბაში გადამიღე ფოტო, — ეხვეწება ცოლი ქმარს.

— არ მინდა.

— გადამიღე, რა. წარმოიდგინე, წლების შემდეგ ამ ფოტოს რომ აიღებ, ჩემზე იტყვი, რა ლამაზი ყოფილა მაშინო.

— შენ რა, წლების მერე უფრო შეუხედავი გახდები?

* * *

ახალგაზრდა გოგო სამარშრუტო ტაქსით მგზავრობდა. მანქანის მკვეთრი მოხვევის გამო იგი მოულოდნელად ახალგაზრდა მამაკაცის მუხლებზე აღმოჩნდა.

— თვრამეტი წლისა ხარ? — ეკითხება დაბნეული მამაკაცი, რომელმაც არ იცის, რა თქვას.

— კი, ვარ!

— მაშინ იჯექი!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24